მ ა ტ ი ა ნ ე



ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 7 აპრილი, 2016წ. №3-4 (17-18)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი-
– ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
1990 წლის 14 ნოემბრის
მიმართვა
სრულიად საქართველოსადმი

„ერისა და პიროვნების სრული თავისუფლების დამკვიდრება ყოველი ჩვენგანის სანუკვარ მიზანს წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ეროვნული თანხმობის, ურთიერთანადგომისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე.

საქართველოს კეთილდღეობისათვის დღეს ჰაერივით საჭიროა ერთიანობა და სიმტკიცე, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა, ნებისმიერ პარტიულზე მაღლა ეროვნული ინტერესების დაყენება.“

„უწყებანი“ №11, 1990 წელი, ნოემბერი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის -

- ბატონ ზვიად გამსახურდიას
- მიმართვა



„მე საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი, დავუბრუნდი სამშობლოს და განვაგრძობ ერის წინაშე ჩემი მოვალეობის შესრულებას. მე ჩამოვედი არა მხოლოდ იმიტომ, რომ შევასრულო ჩემი თანამდებობრივი მოვალეობა, არამედ იმისათვის, რომ სათავეში ჩავუდგე ეროვნული ხსნის მოძრაობას.

ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და ასეთ დროს დიდი დაფიქრება და პასუხისმგებლობა გვმართებს. მე ჩამოვედი არა იმისათვის, რომ გავაჩაღო სამოქალაქო ომი, ან დავსაჯო ვინმე, არამედ ჩემი მიზანია ერის გამთლიანება და ეროვნული შერიგება, და თუ მოწინააღმდეგე მხარე შეიგნებს თავის შეცდომებს, შეინანიებს თავის დანაშაულს ერის წინაშე, მე მზად ვარ მათაც გავუწოდო ხელი.

თუ უკანონო ხელისუფლება გამოიჩენს კეთილგონიერებას და გადადგება, მე მზად ვარ უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით დავნიშნო ახალი არჩევნები, ყველას მიეცემა ხელშეუხებლობის გარანტია სათანადო პირობების გათვალისწინებით.“

ზვიად გამსახურდია

25 სექტემბერი, 1993 წელი

(თვალთაი, 1-7 აგვისტო)

1990 წ. 28 ოქტომბრის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებიდან 26 წელი გავიდა . . . დროა! . . . დროა აღორძინების! . . . კიდევ მოგვასწროს უფალმა ასეთ არჩევნებს!

1990 წ. 28 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილ იმპერიულ სივრცეში – საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები. ქართულმა ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ ბატონ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით შესძლო ქართველი ერის საუკუნოვანი მისწრაფების განხორციელება. ეროვნული მოძრაობა გაერთიანდა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“-ს გარშემო. ქართველი ერის გაერთიანებას საფუძველი შეუქმნა ქართულმა დისიდენტურმა მოძრაობამ, რომლის სათავეშიც იყვნენ ქართველი ერისათვის წამებული გმირები – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. 1989 წ. 9 აპრილის მოვლენების შედეგად ნათლად გამოჩნდა ქართველი ერის მზადყოფნა თავისუფლებისათვის ბრძოლის რთულ და ეკლიან გზაზე გასასვლელად. 1989 წლის 9 აპრილს ქართველი ერი შიშველი ხელით შეებრძოლა იმპერიული რუსეთის საოკუპაციო ჯარებს და ზნეობრივად დაამარცხა დამპყრობელი. 1990 წ. 11-13 მარტს ჭეშმარიტი ეროვნული ძალების ინიციატივით თბილისში მოწვეულ იქნა ეროვნული და ანტისაბჭოთა ძალების კონფერენცია, რომლის მიზანი იყო ეროვნული ძალების მოქმედების მაკოორდინირებელი საბჭოს შექმნა. კონფერენციის დაწყებისთანავე გამოიკვეთა ორი, მკვეთრად განსხვავებული და პრინციპულად დაპირისპირებული პოლიტიკური პოზიცია, რამაც განსაზღვრა უახლოესი მომავლის საქართველოს ბედი.

ზვიად გამსახურდიას გარშემო შემოკრებილი ეროვნული ძალები შესაძლებლად და აუცილებლად თვლიდნენ სსრკ კონსტიტუციის ფარგლებში, საბჭოთა სამართლებლივ სივრცეში არსებული „დაშვებების“ გამოყენების საფუძველზე მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას, არჩევნებში გამარჯვებას და ამ გზით – ლეგიტიმური, გარდამავალი ხელისუფლების გამოყენებას საქართველოს სსრკ-ის შემადგენლობიდან კანონიერი და ლეგიტიმური გასვლისათვის.

ე. წ. ეროვნულ კონგრესში გაერთიანდნენ პოლიტიკურად გაკოტრებული ფსევდო ანტისაბჭოთა ძალები: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (თავმჯდომარე - გიორგი ჭანტურია), ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (თავმჯდომარე - ირაკლი წერეთელი), მონარქისტულ-კონსერვატორული პარტია (თავმჯდომარე - თემურ ჟორჟოლიანი), საქართველოს „მხედრიონი“ (თავმჯდომარე - ჯაბა იოსელიანი). ეს მოღალატეები მისდევდნენ ანდრეი სახაროვს, მერაბ მამარდაშვილს, ნიკო ჭავჭავაძეს, რევაზ ჩხეიძეს, აკაკი ბაქრაძეს, ელდარ შენგელაიას, ჯანსუღ ჩარკვიანს, ნოდარ ლომოურს და მათდაგვარ ქართული „წითელი ინტელიგენციის“ წარმომადგენლებს. საზღვარგარეთ მოკალათებული რენეგატი ქართველები იდეოლოგიურად ამაგრებდნენ მომავალ პუტჩს. ამის ნათელი მაგალითია საფრანგეთში დაარსებული ე. წ. „თავისუფლების ინსტიტუტის“ წიაღში გამოშვებული ჟურნალი „ივერია“ სალომე ზურაბიშვილის, ჯანრი კაშიას, ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილის და სხვა პუტჩისტთა ხელმძღვანელობით; ინგლისში მცხოვრები მოქალაქე რამაზ კლიმიაშვილისა და რადიო თავისუფლების რუსულ განყოფილებაში მომუშავე თენგიზ გუდავას ანტიქართული გამოსვლები და სხვა. ამ ორგანიზაციებმა, თუ კერძო პირებმა ე. წ. „მე-5-ე კოლონის“ როლი შეასრულეს 1991-1993 წლების სამხედრო გადატრიალების მომზადებასა და განხორციელებაში. ეს ძალები არჩევნების გზით საქართველოს მომავლის წარმატებით განხორციელებას შეუძლებლად აცხადებდნენ და თითქოსდა, მოითხოვდნენ, პირველ რიგში, საბჭოთა არმიის გაყვანას საქართველოდან. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს საუკუპაციო საბჭოთა არმია მოიწვიეს „ქართველმა“ რენეგატებმა ლეგიტიმური

ხელისუფლების დასამხობად. ზოგადად, პუტჩისტური კრედო დემაგოგიური იყო და ასე ჟღერდა: „ჯერ დემოკრატია, შემდეგ – დამოუკიდებლობა“ და „თვითმკვლელობრივი ნაციონალიზმი“ (თითქოს, დამონებულ ქვეყანაში დემოკრატიული წყობილების დამყარება შესაძლებელი ყოფილიყოს. დემოკრატია ერის მმართველობას ნიშნავს. როგორ შეუძლია დატყვევებულ ერს საკუთარი ქვეყანის მართვა?). ეს ლოზუნგები პირველად აშშ-ის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გაახმოვანა.

საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილმა ძალებმა აიტაცეს ჯორჯ ბუშის ეს ორი ლოზუნგი. პირველით, ისინი ცდილობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხის დასუსტებას, ხოლო მეორეთი - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის სახელის გატეხას მისი ფაშიზმთან გაიგივებით. ამას ეყრდნობოდა ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერთათვის „პროვინციული ფაშიზმის“ იარლიყის მიკერებაც.

სამწუხაროდ, დასავლური ცივილიზაციისთვის, „ენა, მამული, სარწმუნოება“, დღესაც, მისთვის სამტრო იდეოლოგიას წარმოადგენს. აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 1990 წ. კიევის ცნობილი ვიზიტის დროს თავის გამოსვლაში გააფრთხილა უკრაინა, რათა არ დამდგარიყო იგი „თვითმკვლელობრივი ნაციონალიზმის“ გზაზე, რაც ფრიად ნიშანდობლივია იმდენად, რამდენადაც ამ პერიოდისათვის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების გარდა უკრაინაში არავითარი ეთნოკონფლიქტი არ იყო.

მაშასადამე, ბუშის ეს გაფრთხილება ეხებოდა, რა თქმა უნდა, იმ რესპუბლიკას, რომელიც „დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა“ – საქართველოს! ჯორჯ ბუშის სიტყვა კიდევ იმითაა არსებითი, რომ იგი ნათელს ჰფენს იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გეგმებსა და განზრახვებში არ შედიოდა საბჭოთა კავშირის დაშლა და მისი შემადგენელი რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მიღება! პირიქით, ამ გამოსვლაში დაუფარავი მუქარაა იმ რესპუბლიკების მიმართ (და პირველ რიგში, საქართველოს მიმართ), რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისათვის და რომლებიც არ იქნენ ჩამოთვლილი იმ სიაში, სადაც იყვნენ ის რესპუბლიკები, რომლებშიც „დემოკრატია ყვაოდა“. 1990 წ. 28 ოქტობრის არჩევნების შედეგად საქართველოს სახელმწიფოს სათავეში მოსული ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის სცენარი დაიწერა მალტის ცნობილი შეხვედრისას, რომელზეც სხვადასხვა ზესახელმწიფოების მეთაურებმა განსაზღვრეს უკვე დაშლის პირას მისული საბჭოთა იმპერიის ბედი. ბუშმა, გორბაჩოვმა და მაშინდელი მსოფლიოს სხვა ლიდერებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს საქართველოს რესპუბლიკას და ქართველ ერს – საჯიჯგნად მიუგდეს სასიკვდილოდ განწირულ, მარცხით გაანჩხლებულ მომაკვდავ საბჭოთა ურჩხულს. 1989 წ. 2 დეკემბერს კუნძულ მალტაზე გაიმართა სსრკ-ის პრეზიდენტ მ. გორბაჩოვისა და აშშ-ის პრეზიდენტ ჯ. ბუშის შეხვედრა. საიდუმლო გარიგებით არსებითად გადაწყდა საქართველოს, ქართული ეროვნული მოძრაობის ბედი. ბალტიის რესპუბლიკების ეროვნულმა მოძრაობებმა ამ საიდუმლო გარიგებას „ახალი რიბენტროპ-მოლოტოვის გარიგება“ უწოდეს. მალტის შეხვედრიდან სამი კვირის შემდეგ კი, 1989 წ. 24 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ საბჭოთა კავშირის მიერ 1940 წ. ბალტიის რესპუბლიკების – ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ოკუპაცია და ანექსია უკანონოდ სცნო და განაცხადა, რომ ეს საბჭოთა ხალხის სურვილისა და ნების წინააღმდეგ და მეტიც, საბჭოთა კანონების დარღვევით მოხდა. ამით, არსებითად, მან საბჭოთა კავშირიდან მათ გასვლას იურიდიული საფუძველი შეუქმნა.

ამრიგად, ყოველნაირად შემზადდა ბალტიის რესპუბლიკების საბჭოთა კავშირიდან გასვლა და განახლებული საბჭოთა კავშირის შექმნა – ბალტიის ქვეყნების გარეშე! სწორედ ამას გულისხმობდა „განახლებული საბჭოთა კავშირის“ ყბადაღებული დოქტრინა, მათ შორის, ფართოდ რეკლამირebული „დემოკრატიზებაც“! ხოლო იმ რესპუბლიკებისათვის, რომლებიც საბჭოთა ხალხების საბყრობილედან ბალტიის რესპუბლიკებთან ერთად შეეცდებოდნენ „გაპარვას“, გამოსცეს „გაფრთხილება“, რომელიც პრეზიდენტმა ბუშმა უკრაინაში ვიზიტის დროს ძალზედ ხმამაღლა და დამაშინებლად გააჟღერა. აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის 1991 წ. 1 გვისტოს ცნობილი სიტყვა წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის განვითარების ვაშინქტონისეულ პროგრამას, დირექტივასა და გაფრთხილებას მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ – არ გაეწიათ წინააღმდეგობა მიმდინარე პროცესებისადმი და დამორჩილებოდნენ მოსკოვისა და ვაშინქტონის შეთანხმებულ პოლიტიკურ გეზს. პრეზიდენტ ბუშის ეს სიტყვა მომზადებული იყო დღეს კარგად ცნობილი კონდოლიზა რაისის მიერ და მსოფლიო დიპლომატიასა და პოლიტიკაში ცნობილი გახდა „კიევური კოტლეტის“ სახელწოდებით. მაშასადამე, ისტორიული სინამდვილე ასეთი იყო: 1990 წ. 28 ოქტომბრის

უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ზ. გამსახურდიას მიერ შექმნილმა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო". არც საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა და მითუმეტეს, არც საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მრავალპარტიულ არჩევნებს. ამდენად, მრავალპარტიული არჩევნები ვეღარ ჩაითვლებოდა საბჭოურ არჩევნებად.

1990 წ. 28 ოქტომბრის არჩევნებს ერქვა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები" (ამოღებულია „სსრ") და არა – „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები", რაც მიღწეულ იქნა ეროვნული ძალების მიერ მრავალდღიანი აქციების შედეგად (ეროვნული ძალების ზეწოლით ესეც ამოღებულ-იქნა). საბჭოთა კანონით ყველა პარტია, თუ ორგანიზაცია რეგისტრაციას გადიოდა იუსტიციის სამინისტროში, მაგრამ იმის გამო, რომ არც საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა და მითუმეტეს, არც საქართველოს სსრ კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მრავალპარტიულობას, ყველა პარტია დარეგისტრირდა მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ესეც ეროვნული ძალების ზეწოლის შედეგად მოხერხდა). ეროვნული მოძრაობის მოთხოვნით საარჩევნო კომისიებში დამატებულ იქნენ წევრები ეროვნული მოძრაობიდან და დამოუკიდებელი ორგანიზაციებიდან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წ. 28 ოქტომბრის არჩევნები იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩატარებული პირველი დემოკრატიული, მრავალპარტიული, თავისუფალი არჩევნები, რომლის მონიტორინგს ეწეოდა მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს ასობით მეთვალყურე. მიუხედავად საბჭოთა იმპერიის სპეცსამსახურებისა და კომუნისტური პარტ-ნომენკლატურის მიერ ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილი აგენტურის გააფთრებული წინააღმდეგობისა, ზვიად გამსახურდიას ინიციატივით 1989 წელს შექმნილმა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების გაერთიანებამ –„მრგვალმა მაგიდამ", შემდგომში საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველომ" შეძლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წ. მარტის კომუნისტური არჩევნების ჩაშლა და მიაღწია იმავე წლის 28 ოქტომბრისათვის პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული და რაც მეტად პრინციპული და მნიშვნელოვანია, არასაბჭოთა საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას.

აქვე უნდა განიმარტოს, თუ რატომ იყო ეს არჩევნები არასაბჭოთა: არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ორგანიზაციების რეგისტრაციას ახდენდა არა საბჭოთა ხელისუფლება, არამედ პარიტეტულ საწყისებზე არჩეული ცენტრალური საარჩევნო კომისია. ამასთან, საბჭოთა იმპერიაში პირველად, არჩევნებს ზედამხედველობას უწევდნენ უცხოეთიდან ჩამოსული საერთაშორისო დამკვირვებლები. არჩევნების შედეგებმა გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს: დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" ორგანიზაციებმა. 1990 წ. 14 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელმაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერი ბატონი ზვიად გამსახურდია. საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა პრესაში. აგრეთვე, საქართველოს ახალი კონსტიტუციის მოსამზადებლად შეიქმნა კომისია, რომელმაც ნაყოფიერი შრომა გასწია ამ მიმართულებით. აშშ-ის და სსრკ-ის პოლიტიკური ელიტის „კარნახს" გულისფანცქალით ელოდნენ „ქართული" პოლიტიკური ოპოზიცია, საქართველოში მოკალათებული მოღალატეები და სხვასხვა საიდუმლო სპეცსამსახურების რეზიდენტები, რომლებმაც სისრულეში მოიყვანეს ბუშის და გორბაჩოვის განაჩენი. დაიწყო საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დასამხობად საერთაშორისო შეთქმულების მზადება, რომელშიც ლომის წილი მიუძღვით წითელ ინტელიგენციას, კომუნისტურ მაფიას, კრიმინალურ წრეებს და ე. წ. „თავისუფლების ინსტიტუტს" ჯანრი კაშიას, სალომე ზურაბიშვილის და მათდარი „აგენტების" მეთაურობით.

საქართველოს დღევანდელი „დე-ფაქტო " ხელისუფლება შეგნებულად ჩქმალავს 1990 წ. 28 ოქტომბრის არჩევნების მნიშვნელობას, რომლის მსგავსი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. ეს იყო საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. დღესაც კვლავ ხდება ისტორიული სიმართლის გაყალბება და დამახინჯება. 1991-1993 წლების სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალებას წარმოგვიდგენენ როგორც შედეგს სამოქალაქო დაპირისპირებისა, რაც არასწორია, და ეს სამხედრო ხუნტის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის მიჩქმალვას ემსახურება.

არის მცდელობა მარიონეტული ხელისუფლების დაუმსახურებელი განდიდების და მისი ლეგიტიმიზაციისა. ადგილი აქვს ეროვნული ლეგიტიმური უზენაესი საბჭოს წევრების გადაბირებას და მათ გათქვეფას უკანონო ხელისუფლების სტრუქრუტებში.

მადლობა ღმერთს, რომ მალე გაიფანტა მახინჯი ეიფორია და ნათლად გამოჩნდა უკანონო, ფაქტობრივი ხელისუფლებების ნამდვილი სახე. აშკარად ჩანს მათი უუნარობა საზოგადოების განმთლიანებისა და 1991-1993 წლების შემდგომი შავბნელი მემკვიდრეობის აღმოფხვრის საქმეში. უკანონო ხელისუფლებებს ჰქონდა საკმარისი დრო, ჩაღრმავებოდა საქართველოში არსებულ უმძიმეს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას და შესაბამისი ნაბიჯები გადაედგა ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის. მაგრამ მათ ეს არ სურთ, რადგან თვითონ წარმოადგენდნენ „პუტჩისტური მონეტის“ მეორე მხარეს. ისინი ისეთივე ანტიქართულია, როგორც შევარდნაძის ეპოქის ყველა „არჩეული“ ხელისუფლება! განვითარებულმა მოვლენებმა აშკარად დაგვანახა დღევანდელი ე. წ. პოლიტიკური ოპოზიციის სპექტრის (ძველი პუტჩისტები) და საქართველოს ,,დე-ფაქტო“ ხელისუფლებების სულიერი მამების (ახალი პუტჩისტები) მტრული დამოკიდებულება ქართული ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი ძალების მიმართ. მათი მტრობა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, თუგინდ, მათ მიერვე დეკლარირებული და მათგანვე უკუგდებული, ყბადაღებული ,,ადამაინის უფლებების დაცვისა“ და დემოკრატიული პრინციპების მიმართ გამომდინარეობს მათი ვიწროპარტიული და მერკანტილური მისწრაფებებიდან. საქართველოში დღესდღეობითაც არ არსებობს პილიტიკური ძალა, რომელიც ერის ინტერსებს საკუთარი კეთილდღეობის ინტერესებზე მაღლა დააყენებდა! ჩვენდა სამწუხაროდ, სახელმწიფო დამნაშავეთა დიდი უმრავლესობა დღესაც საქართველოშია და ხელისუფლება აქვს მიტაცებული. საქართველოს ხელისუფლებაში ამჟამად მყოფი დამნაშავე ჯგუფის მიერ, რომელსაც მართავს ქართველი ერის მიმართ მტრულად განწყობილი ანტიმართლმადიდებლური პოლიტიკური საერთაშორის ძალა, რომელმაც საქართველოს ხელოვნურად (პროვოკაციულად) თავს მოახვია მორიგი ომი. ეს ომი, ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ უღმერთო-ანტიქართული ხელისუფლების გაძლიერებას და რუსეთის მიერ ადრე მიტაცებული სამაჩაბლოს და აფხაზეთის ტერიტორიების იურიდიულად ჩამოცილებას საერთაშორისო ორგანიზაციების შუამდგომლობით.

საქართველოს ,,დე-ფაქტო “ ხელისუფლება, დასავლეთიდან მართული ოპოზიცია და საქართველოს ოფიციალური საპატრიარქო კვლავ რჩებიან წინაღობად კანონიერებისა და ლეგიტიმურობის აღდგენის გზაზე. საქართველოს განვითარების სახელმწიფოებრივი განვითარება ასცდა მისი განვითარების ბუნებრივ გზას, რომელიც ყოველთვის მორალზე, ანუ ჭეშმარიტ მართლმადიდებლობაზე იყო დაფუძნებული. საზოგადოების უდიდესი ნაწილი გადარჩენის გზად, უპირველეს ყოვლისა, მატერიალურისადმი მისწრაფებების დაკმაყოფილებაში ხედავს. ქართველ ერს არ ექადაგება ოფიციალური საპატრიარქოდან ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა. ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი მრწამსის, ეროვნული ორიენტირებისა და თვითშეგნებადაკარგული საქართველოს დაშლა, სახაროვისეული მოდელის თანახმად, დიდ საძნელეს არ წარმოადგენს თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში.

დასავლეთიდან ინსპირირებული რუსეთ-საქართვლოს ომი, რომელიც 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო და დღემდე მძვინვარებს, საქართველოში არსებული გაუგონარი უკანონობის შედეგია და ეს უკანონობა საქართველოს არსებობას კითხვის მიშნის ქვეშ აყენებს. ქართველი ერი განიცდის აგრესიას, როგორც უკანონო ხელისუფლების მხრიდან, აგრეთვე რუსეთის საოკუპაციო ჯარების მხრიდანაც. ამიტომ ქართველ მამულიშვილთა საღად მოაზროვნე ნაწილი, ქვეყნის გადარჩენის გზას, მხოლოდ და მხოლოდ სამართლმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის პროცესიის დაწყებაში ხედავს. მხოლოდ უფლის გზით მიმავალი ერი მიიღებს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას! მხოლოდ პირუთვნელი სიმართლის ღაღადით და მისადმი თვალის გასწორებით მიიღწევა სასურველი! მხოლოდ კანონიერების აღდგენა გადაარჩენს საქართველოს! წინააღმდეგ შემთხვევაში, საბოლოო დამარცხება გარდაუვალია! საქართველოს გადარჩენა როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, უფლის ხელშია!

„დიდგორის“ რედაქცია

გლდანის ლომისის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის

განცხადება

1995 წლის 14 მაისიდან გლდანის ლომისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიამ დაიწყო ანტიქრისტეს მოციქულთა მხილება და დიდი ბრძოლა ჭეშმარიტი სარწმუნოების დასაცავად, ხოლო ვებ-საიტი „დიდგორი“ არის გვირგვინი ამ დიდი ბრძოლისა.

11 წელია, ვებ-საიტი „დიდგორი“ რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, იგია მახვილი მხილებისა, რომელიც ებრძვის სიცრუეს და მართლმადიდებელ ქართველ ერში აღანთებს საღვთო ჭეშმარიტების ლამპარს, რომელიც ღვთის მადლით, არსაოდეს ჩაქრება! შემთხვევითი როდია, რომ სწორედ „დიდგორი“ არის საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების საიტი. ის არის ქართველი ერის გამომაფხიზლებელი და გaნმანათლებელი სარწმუნოებაში, რათა დავუტევოთ სიცრუე და შევუდგეთ ჭეშმარიტებას.

დიდება და მადლობა უფალს, რომ ამ მართლაც უმძიმეს და ჭეშმარიტი სარწმუნოებისგან საყოველთაო განდგომილების ჟამს, როცა სასულიერო პირებიც კი დუმილს ირჩევენ, ინტერნეტ სივრცეში არსებობს „დიდგორი“ თავისი ბრწყინვალე ფეისბუკის საიტებით: „დიდგორის ველი“, Kirie Elison” და „Ekumenizm Religia Antixrista“. დღეს, ამ საიტს ხელთ უპყრია მახვილი მხილებისა ერესთა-ერესის - ეკუმენიზმის წინააღმდეგ და მის მფლობელებს მთავარ მიზნად დაუსახავთ სახარების გავრცელება, ამიტომაც იგი აღასრულებს ქართველი ერის სულიერ მისიას.

ამ მიზნით გაწეული მოღვაწეობისთვის განსაკუთრებული მადლობა გვინდა მოვახსენოთ: ეროვნულ-სარწმუნეობრივი ვებ-საიტის „დიდგორის“ დამფუძნებლებს - საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის თავჯდომარეს, ბატონ ბესარიონ გუგუშვილს და საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის პირველ ვიცე-პრემიერს, ბატონ იოსებ ღუდუშაურს, ასევე მადლობას ვუხდით საქართველოს რესპუბლიკის დევნილ მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მმართველ პოლიტიკურ ორგანიზაციას - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებას“.

ეკატერინე (ხათუნა) ხიზამბარელი
ასლან ბარამიძე
თამარი ზურაშვილი
ნინელი კალანდაძე
ანგელინა ვახტანგიშვილი
ციალა არჩვაძე
კლარა ტონია
თამარ ქალიაშვილი
მარინე ხონელიძე
ნარგული ფირცხალაიშვილი
თამარი სულხანიშვილი
ამირან კალანდაძე
პეტრე ივანიძე
გურამი ვახანია
გურამი ვახტანგაძე
ავთანდილ ჯანაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ საგანგებო განცხადება

მოგესალმებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ წევრებო, ჩვენო ძვირფასო მხარდამჭერო ემიგრანტებო და მეგობრებო!

იმედი გვაქვს, მთელი გულისყურით, ბოლომდე, გაეცნობით ჩვენს განცხადებას - ჩვენს გულისტკივილსა და ამავდროულად იმედს, თავისუფლებისათვის ბრძოლით გაჟღენთილ სამომავლო იმედს, იმედს სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის . . .

. . . დღეს, სამწუხაროდ, შესამჩნევად იკლო ჩვენმა აქტივობებმა?! . . . არა, არ გადავღლილვართ, არც რაიმე პირადი პრობლემების მომიზეზებით სამშობლოსათვის ბრძოლა მეორეხარისხოვნად არ გვიქცევია . . .

. . . არც ქარქაშებში ჩაგვიგია ხმლები . . .

. . . არც ის დაგვიწყებია, რომ კანონიერი ხელისუფლება ჩვენი სახითაც, იურიდიულადაც და ფიზიკურადაც კვლავაც არსებობს . . .

. . . არც ბრძოლის ველიდან გაქცევას აპირებს რომელიმე ჩვენთაგანი. ეს ხომ კაპიტულანტური პოზიციის გამოხატვა იქნებოდა უცილოდ, რამეთუ ომი არ დამთავრებულა, ეს კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული! . . . ძალაუფლების საკუთარი ნებით და შესაბამისი ნებართვის გარეშე მიგდება-მიტოვება ბრძოლის ველიდან გაქცევას უდრის! ...

უფალმა დაგვიფაროს „კაპიტულანტობისგან“ . . .

ჩვენ, როგორც კანონიერი ხელისუფლების მებრძოლები ძალით არავის ავურჩევივართ, ან დაუნიშნივართ, არამედ ხალხის ნებით (პირდაპირი ან არაპირდაპირი არჩევნებით/კანონიერი ორგანოს მიერ დანიშვნებით) მინიჭებული გვაქვს სამშობლოსათვის, სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის მებრძოლთა ძალაუფლება, რაც თავისთავად გულისხმობს საკუთარ თავზე გარკვეული, შესაბამისი ვალდებულებებს აღებას და არა მხოლოდ უფლებებსა და პრივილეგიებს.

როგორც ცნობილია, ბრძოლის ამ ახალ ეტაპზე, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი, დევნილი მთავრობა, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ - საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა კვლავ სათავეში უდგას და აგრძელებს ბრძოლას საქართველოს სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისათვის, კანონიერებისათვის, სამართალმემკვიდრეობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია – ის, თავის კანონიერ და სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად, წარმოადგენს, როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე ეროვნულ-განმათავისუფლებელი - ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთავარ იურიდიულ ქვაკუთხედს.

რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, მინისტრთა კაბინეტს, ადგილობრივ თვითმართველობითსა და მმართველობით ორგანოებს, მათ ხელმძღვანელ პირებსა და წარმომადგენლობას, ანუ მთლიანობაში საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებას - მთავრობას, მთავრობის პრეზიდიუმს, მთავრობის თავმჯდომარის - ბატონ ბესარიონ გუგუშვილის ხელმძღვანელობით, დღემდე, მტერთან ომში კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, არ გამოუცხადებია თვითლიკვიდაცია, არ დაუნიშნავს ახალი არჩევნები და თავისი სამართალმემკვიდრეობა არ გადაუცია არცერთი მომდევნო ხელისუფლებისათვის;

რამდენადაც დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუციები და კანონიერი სახელისუფლებო წარმომადგენლობა როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში, სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა დღესაც გრძელდება და იმედია უახლოეს მომავალში, რეალურად შესაძლებელია მისი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ბაზის კანონიერი, ფაქტობრივი ამოქმედება და საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენა ქვეყანაში.

ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ეროვნული ცნობიერების, ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის აღორძინება, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენის ძირეული საფუძველი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობა და ბრძოლა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ დღესაც გრძელდება! იგი, რაც მთავარია, გრძელდება ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის იდეოლოგიით გაჟღენთილ, მის ურიცხვ თანამებრძოლთა მიერ.

განსაკუთრებით დღეს, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის" წევრებისათვის აუცილებელი და საჭიროა მეტი აქტიურობა, პირადი ფუნქციური ვალდებულებების განხორციელება და პირადი პოლიტიკური წინადადებება-ინიციატივების გამოხატვა, როგორც ყოველდღიური ლტოლვა სამშობლოს ზრუნვისა და კეთილდღეობისათვის.

ამასთანავე, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ჩვენ, ერთგულ მამულიშვილებთან ერთად, გათავისებული გვაქვს სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენის მოთხოვნა, ხელთ გვიპყრია 31 მარტის – დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ტრიბუნა და შანსი ქვეყნის სამართლებრივ, კანონიერ ბაზაზე დაბრუნებისა. ჩვენთვის ხომ, თავისუფალი საქართველოს იდეა პირველადია და შეუცვლელი, გვერდი-გვერდ დგომითა და ბრძოლით გვსურს მივაღწიოთ სანუკვარი თავისუფლების იდეის რეალიზაციას!

31 მარტის ტრიბუნა ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული თანხმობის ტრიბუნაა. ამ ტრიბუნას ლეგიტიმურად ფლობს მხოლოდ ეროვნული, კანონიერი ხელისუფლება და მხოლოდ მისი კონსტიტუციურ უფლებებში აღდგენა არის ქვეყნის სუვერენეტიტეტის დაცვისა და გაერთიანების საწინდარი.

ჩვენი ბრძოლა არ არის ბრძოლა ხელისუფლებისთვის, ეს არის ბრძოლა საქართველოსთვის. თქვენთან ერთად ვცდილობთ დამოუკიდებელმა და თავისუფალმა საქართველომ პირუთვნელად აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე.

განსაკუთრებით დღეს, ბრძოლის ამ უმნიშვნელოვანეს ფაზაში, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" სარეზერვო, მატერიალურ-ტექნიკური ძალები მილევის რეჟიმშია. სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური მოღვაწეობისა და, მითუმეტეს, პოლიტიკური ბრძოლისათვის აუცილებელი და საჭირო მარაგის უკმარისობა და უფრო მეტად არარსებობა იძულებით გამოიწვევს პოლიტიკური სათანადო საქმიანობის ქმედითუნარიანობისა და ბრძოლის მარგიქმედების კოეფიციენტის მკვეთრად დაცემას. აუცილებელია ზრუნვა მებრძოლ კადრებზე, თადარიგის დაჭერა მათი ჯანმრთელობის, ხშირად კრიტიკული მდგომარეობის დასაძლევად და მინიმალური ქმედითუნარიანობისათვის საჭირო პირობების განახლება. მოძველდა, უფრო სწორად მოირყა, საბრძოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მკვეთრად შემცირდა საკონფერენციო, სააქციო, ახალგაზრდული, თუ სხვა სახის ღონისძიებათა ჩატარების საშუალებები. შეჩერების პირასაა, აგრერიგად აუცილებელი, კავშირის მიერ უაღრესად დიდი ენერგიის ფასად, დამოუკიდებლად აღდგენილი პერიოდული გამოცემა - ჟურნალი ,,მატიანე".

უკვე დადგა მძიმე პერიოდის ჟამი!

დროა განახლებისა და გადაიარაღებისა!

წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია სამართლიანობისა და კანონიერებისათვის მებრძოლი და სათავო ორგანიზმის დაუძლურება, გამოფიტვა და უარესიც . . .

თანამემამულენო და თანამებრძოლებო, ეს არ უნდა დავუშვათ, ომი არ დამთავრებულა, ბრძოლა სანუკვარი მიზნებისა და ამოცანებისათვის უნდა გაგრძელდეს ბოლომდე, მათ აღსრულებამდე!

დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს იხსნიან მისი საუკეთესო შვილები, თავდადებული და თავგანწირული შვილები.

დამოუკიდებელ საქართველოს იხსნის მისი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა.

პოლიტიკური ბრძოლა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ შეუქცევადია!

ღმერთმა დალოცოს ჩვენი სამართლიანი ბრძოლა!

შემოვდივართ წინადადებით, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის" ბაზაზე, მისი ფონდის, ან სხვა შესაძლო ანგარიშის მეშვეობით შეიქმნას ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობისათვის აუცილებელი. სპეციალური, ერთიანი საქველმოქმედო ფონდი, რაც საწინდარი იქნება ყველა ზემოთხსენებული პრობლემების მოხსნისათვის და საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი, ლეგიტიმური მთავრობის თაოსნობით, სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის სანუკვარი მიზნის მიღწევისათვის.

უფალი იყოს ჩვენი მფარველი!

თბილისი, 2016 წლის 11 დეკემბერი

,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ განცხადება

ძვირფასო მეგობრებო და თანამებრძოლებო!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ინიციატივით, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პრინციპების დაცვით იწყება საერთო-სახალხო თანხმობა-შერიგების პროცესები საქართველოში!

გამოდინარე ამ ინიციატივიდან, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“, საწყის ეტაპზე, უპირველეს ყოვლისა, წესდების შესაბამისად, აცხადებს კავშირში ღია, საერთო, თავისუფალ მიღებას, ასევე, კავშირის წევრთა და მხარდამჭერთა რეგისტრაციას და ორგანიზაციის ახალ წევრებთან ერთად, ამ პროცედურის გავლისაკენ მოუწოდებს ყველა მოქმედ ნამდვილ წევრსა და მხარდამჭერს, ასევე კავშირის ყოფილ, მათ შორის ადრეულ პერიოდებში გასულ, თუ გაყვანილ წევრებს, რათა, მათივე სურვილის შესაბამისად, განხორციელდეს მათი კავშირში დაბრუნება-აღდგენა წესდების შესაბამისად.

დიახ, შემოერთებისა და კვლავ გაერთიანებისათვის მოგმართავთ ყველა იმ წევრს, რომელთაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზითა, თუ საბაბით დატოვეთ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ რიგები, მაგრამ სამშობლოს სიყვარულთან ერთიანობაში ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი იდეა კვლავ თქვენშია.

,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ ახლა ბრძოლის იმ ეტაპზეა, როცა მას აგრერიგად სჭირდება ერთობა. ვფიქრობთ არ არსებობს ყოფილი ,,ჰელსინკელი“, ისევე როგორც არ არსებობს ყოფილი ქართველი და მამულიშვილი. ამიტომაც, ქალბატონებო და ბატონებო, მამულიშვილნო და თანამებრძოლებო, მოგიწოდებთ: კვლავ დავდგეთ ერთმანეთის გვერდით და ერთად განვაგრძოთ ბრძოლა ლეგიტიმური, ეროვნული ძალების აღსადგენად, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი იდეის გასავრცელებლად და დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისათვის ბრძოლათა მოსაგებად, რაოდენ, მომავალი არ გვაპატიებს ერთმანეთისგან შორი-შორს დგომას და უმოქმედობას!

მოდით ერთად შევიმუშაოთ საერთო-სახალხო თანხმობა-შერიგების პროცესების სახელმწიფოებრივი, ეროვნულ-სარწმუნოებრივი პრინციპების სამოქმედო გეგმა, ერთად ვიმსჯელოთ ამ მიმართულების ინიციატივებსა და განხორციელების გზებზე, ეროვნულ ძალთა მოძიებისა და არსებული სამართლებრივი პრინციპების დაცვით მათი თანდათანობითი გაერთიანება-კონსოლიდაციაზე.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირმა“ ჭეშმარიტ ეროვნულ ძალებთან ერთიანობაში ერთხელ უკვე დაიხსნა საქართველო მტარვალის მარწუხებისგან და ახლა დროა, მეორედ და სამუდამოდ დავამარცხოთ ის ძალა, რაც ასე აუძლურებს ჩვენს ქვეყანას!

ისტორიის ნამდვილობისათვის

იმ უმძიმეს განსაცდელთა შორის რომელიც ზვიად გამსახურდიას არ დაკლებია მთელი ცხოვრების მანძილზე, ყველაზე მტკივნეული, ალბათ, იყო ყოვლად უსინდისო, უზნეო ჭორები, რასაც მის წინააღმდეგ იყენებდნენ როგორც სახელმწიფო მოხელეები, ისე პოლიტიკური ოპონენტები.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც ცენტრალური გაზეთი „კომუნისტი“ ვრცელ წერილში „სარეველები“ მკითხველს შესჩიოდა: ცნობილი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი, ზვიად გამსახურდია და მისი მეგობრები მთელი დღე რუსთაველის ძეგლის წინ დგანან და გამვლელ მოქალაქეებს შეურაცყოფას აყენებენო.

დრო გადიოდა და ჭორების სიმძიმე და მასშტაბებიც იზრდებოდა: სისხლიანი პუტჩის შემდეგ ერთ-ერთ ბრალდებად მილიონობით თანხის და კილოგრამობით ოქროს გატაცება მოიფიქრეს.

რუსთა დიდ ხელმწიფეს და მის ხელქვეითებს არა ერთხელ განუცხადებიათ: გამსახურდია ამბობდა, საქართველოში მხოლოდ ქართველები უნდა ცხოვრობდნენო.

არც „დასავლეთმა“ დააკლო ხელი: ამის დასტურად გაგაცნობთ დოკუმენტს, რომელიც პრეზიდენტის ევროპაში გამგზავრებას უკავშირდება:

გერმანიის ბუნდესთაგის(პარლამენტის) დეპუტატი ჰარტმუტ კოშიკი(Hartmut koschik) კოალიციიდან „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი“/„ქრისტიან-სოციალისტური კავშირი“, მიმართავს გერმანიის მთავრობას შეკითხვით, თუ რა მოტივით ეთქვა უარი გერმანიის ვიზაზე საქართველოს კანონიერ, ლეგიტიმურად არჩეულ და ძალადობრივად დამხობილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. დეპუტატის ამ შეკითხვას პასუხი გასცა გერმანიის სახელმწიფო მინისტრმა (საგარეო საქმეთა სამინისტროს განხრით) ჰელმუტ შეფერმა(Helmut Schaefer):

17.12.1992 წელი.

„საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ჰელსინკში, გერმანიის საელჩოში განაცხადი შემოიტანა გერმანიის ვიზაზე. გამსახურდია 1992 წლის იანვარში ოპოზიციური ძალების მიერ და საქართველოს საზოგადოების ფართო მასების მონაწილეობით დამხობილ იქნა. მანამდე იგი, 1991 წლის მაისში იქნა არჩეული და მზარდი დიქტატორული რეჟიმი ჩამოაყალიბა. შემოიღო პრესის ცენზურა და თავისი ულტრა-ნაციონალისტური კურსით გააამწვავა ეთნო-კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

ვიზაზე უარი ეთქვა, რადგან ბატონ გამსახურდიას გერმანიაში ყოფნა გერმანიის მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. გერმანიის მთავრობა ძალზედ დაინტერესებულია იმაში, რომ ეროვნულ ნიადაგზე გაჩაღებული ბრძოლები ყოფილ საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოებში დამშვიდდეს. გერმანიის მთავრობას არ სურს, რომ ეს დაპირისპირებანი რაიმე ფორმით გერმანიაში იქნას გადმოტანილი.“

გავიდა წლები. ქართველმა ხალხმა საყვარელ პრეზიდენტსა და ეროვნულ გმირს მთაწმინდაზე მიუჩინა ადგილი. მაგრამ...

არა და არ ცხრება ,,ელიტარული ინტელიგენცია"

... არა და არ იკმარეს ეროვნული ხელისუფლების დამხობა, ქვეყნის დაქცევა და დაქუცმაცება: კვლავაც გააფთრებით ებრძვიან მთავარ სამიზნეს: ზვიად გამსახურდიას.

ამისთვის ლამის ყოველ წელს გამოსცემენ ,,საქართველოს ისტორიის" ახალ და ახალ წიგნებს, სადაც, როგორც სჩანს, მათთვის უმთავრესი ის 2-3 გვერდია, სადაც ზვად გამსახურდიას ეროვნული მოძრაობის მოღალატედ, დიქტატორ პრეზიდენტად წარმოაჩენენ და საიამაყით წარმოგვიდგენენ ,,დემოკრატიულ ძალებს," თვითონ და მათნაირები წინ რომ უძღოდნენ სისხლიანი პუტჩის დროს. ამ ,,მოღვაწეობაში" მათ დიდი მხარდაჭერა აქვთ როგორც დეფაქტო ხელისუფლების, ასევე კერძო დამფინანსებელთა მხრიდან. ამ წიგნებით ასწავლიან ქვეყნის უახლეს ისტორიას სკოლებსა და უმაღლეს საწავლებლებში. მრუდე წარმოდგენებით ტვირთავენ მომავალი თაობის გულსა და გონებას.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ ამ დროს? ნუთუ აღარ დარჩნენ ქვეყანაში პატიოსანი ისტორიკოსები? ნუთუ არსად მოიძებნება შეძლებული ადამიანი სამშობლოზე გული რომ შესტკოდეს და ობიექტური წიგნის გამოსაცემად თანხას რომ გაიმეტებს?

მაშინ ჩვენ შევკრიბოთ თუნდაც თითო ლარი, როგორც ეს ავადმყოფების დასახმარებლად კეთდება. ავადაა ჩვენი სამშობლო, მძიმე ავადმყოფია, საცაა ხელიდან გამოგვეცლება..

ნოდარ კიკნაძე

,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ თავმჯდომარე



* * *

როცა აღარავის აღარ აქვს იმედი,
როცა ეს იმედი სიგიჟე გონიათ,
ქვეყანას სული რომ უჭირავს კბილებით,
ეს არც მშვიდობაა, ეს აღარც ომია!

ირგვლივ კი სუყველა ილხენს და ხალისობს,
ვერც რას გრძნობს, ვერ ხვდება, არ იცის, არ იცნობს...

უცხო არ გეგონოთ, ისაა: ჩვენია,
მაგრამ თავს იტყუებს - ასე ურჩევნია!

შენ კი, გულმოკლული, შენ კი სისხლმდინარე...
სად არის საშველი? მშველელი ვინ არი?!

იქნებ შეიშალე? ეგებ გეჩვენება?
ეგება ის მოხდა, რაც უფალს ენება?

მაშინ, რა თავს იკლავ, რა ცრემლი დაღვარე?
ვერ ხვდები? მაგით ხომ ისევ მტერს ახარებ!

სჯობს, განზე გადექი, სჯობს, თავი დახარე
და როგორც შეშლილმა, გადაიხარხარე!

ნოდარ კიკნაძე

მ ზ ე რ ა

თუკი ჩვენს პრობლემებს დავხედავთ სამყაროს შორეული წერტილიდან, ან თუნდაც მთვარიდან, დავინახავთ, თუ რა უსუსურია თავად პრობლემა და რა მარტივია მისი გადაჭრის გზა.

„რა არის ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“? ეს არის ადამიანების უფლებებისთვის მებრძოლი კავშირი, რომელიც შეიქმნა და არსებობას განაგრძობს ჰუმანიზმის დასანერგად საზოგადოებაში. ქვეყნის მდგომარეობა კი ასეთია: უამრავი გაჭირვებული ხალხი თავისი ფინანსური, თუ მორალური პრობლემებით, ოკუპირებული და გატეხილი საქართველო. მინდა გამოვყო ათასობით სტატუსშეჩერებული სტუდენტი, რომელთაც ოცნების და მომავალზე ფიქრის უფლება იმის გამო წაერთვათ, რომ არ ქონდათ სახსრები სწავლის გასაგრძელებლდ. უამრავ ადამიანს იმედი დაკარგულია ქვს და თუ მათ ეტყვით: - მოდით შევცვალოთ ესა თუ ის პრობლემა! ისინი გიპასუხებენ:

-რა აზრი აქვს, მაინც არაფერი შეიცვლება, ჩვენ ვერაფერს შევცვლით.

უამრავჯერ მსმენია მსგავსი სიტყვები იმ ადამიანებისგან რომელთაც დაკარგეს რწმენა საკუთარი თავის, ერთობის, ძმობის. სხვანი კი, რომელთაც ძარღვებში სისხლი უჩქეფთ, უერთდებიან ფსევდოეროვნულ ძალებს, რომლებიც ასე მრავლად ჩამოყალიბდა ჩვენს ქვეყანაში და მათ ბრძოლისუნარიანობას სულ სხვა მიზნებისთვის იყენებენ. ბოლოს კი როცა გულანთებული ადამიანი მიხვდება, რომ მისი ძალა ქვეყნის უკეთესობისკენ შეცვლაში არ დაიხარჯა, ხვდება, რომ ამ ქვეყანაზე აღარაფერი წმინდა აღარ დარჩა, ფარხმალდაყრილი, გამოფიტული უბრუნდება თავის კერას და გადაჭრით ამბობს: მოდი მე ჩემს თავს მივხედავ და სხვას ჯანდაბამდე გზა ქონია.

სად არიან ამ დროს ეროვნული ძალები? სად არის ის ხალხი ვინც საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანა? მათ ხომ ერთად დგომით და რწმენით დაუბრუნეს ქვეყანას სამფეროვანი დროშა და ღირსება! ხოლო მაშინ, როცა ერთობა და ნდობა დაიკარგა ეროვნულ ძალებში, დაიკარგა ოცნებაც ღირსეულ, გაერთიანებულ, ძლიერ საქართველოზე, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება, ხოლო მთავარი შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა იქნებოდა. სწორედ ეს უნდა იყოს ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფო დაეყრდნობა. სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის და სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი. დროა სამართლიანობა აღსდგეს! დროა კვლავ შემოუსხდეს ეროვნული ძალები მრგვალ მაგიდას!

როცა საქართველოს ისტორიას ვკითხულობდი, ყოველთვის მიკლავდა გულს თუ რატომ ვერ ახერხებდნენ საერთო ენის მონახვას ის ადამიანები რომელთაც შეეძლოთ ქვეყანა უკეთესობისკენ შეეცვალათ. დამიჯერეთ: დრო გავა, ჩვენი შვილები და შვილთაშვილები გადაშლიან ისტორიის ფურცლებს და ისინიც ასე დასვამევენ კითხვას: - მათ ხომ შეეძლოთ შეეცვალათ ქვეყანა უკეთესობისკენ? და პასუხი მწარე იქნება: სიამაყემ, გაუტანლობამ და რაღაც პრინციპებმა არ დაანებათ გადეჭრათ პრობლემები, რომელიც მთვარიდან, ან სამყაროს სხვა ნებისმიერი წერტილიდან ასე უმნიშვნელო და უსუსური ჩანს.

რატი გაგოშიძე

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი,
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი: -

რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! -
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!

პასუხად მყისვე,
ვითარცა სეტყვა,
ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ, -
იხუვლებს ხოლმე,
იხუვლებს ერთხმად -
ღალატიაო
მაგგვარი
ფიქრი!

მუხრანი

,,ჩვენ მაინც ვიპოვით გზას აფხაზთა გულებისაკენ"

ენგურს გაღმა - ვეფხვი და მოყმე, ჯვართამაღლება

ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი ელანდებოდა მძინარსა, ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს ტანზეით აყრის რკინასა, ხან კიდენ იმისი შვილი ვეფხვს გადაავლევს ყირასა. აი, ამ სიზმრებს ხედავდის, გამაეღვიძის მტირალსა. ხან იფიქრებდა, უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა, იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა. წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა, ისიც მიამბობს ამბავსა, მეც უთხრა ჩემი შვილისა, იმასაც ბრალი ექნების უწყალოდ ხმლით დაჭრილისა!

აგერ უკვე 23 წელიწადია გასული, რაც შინაური თუ გარეული მტრების მეცადინეობით, დედა-სამშობლოს მოწყვეტილია აფხაზეთი, საკუთარ სამშობლოში და მის გარეთ ლტოლვილად შექმნილა ლამის 500.000 ადამიანი, ქართველები და აფხაზები... 23 წელიწადია, გაისმის „დავიბრუნებთ"... ეს სიტყვა ყოველ წელს სულ სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. დროთა განმავლობაში, აფხაზეთის "დაბრუნების" კონტექსტიც ისევე იცვლება, როგორც - თაობები, როგორც ჩვენთან, ასევე აფხაზეთში. პრობლემა კი გადაუჭრელი და მოუგვარებელი რჩება. თვე ისე არ გავა, რომ ტელევიზიით ან პრესით რაიმე ახალი ამბავი არ გვამცნონ აფხაზეთთან დაკავშირებით. ჩვენდა სამწუხაროდ, ნაკლებად სანუგეშო ჩვენთვის. აფხაზთათვის დღეს საქართველო ოდენ "გადაუდებელი დახმარების ცენტრად" ქცეულა, გნებავთ, სამედიცინო თვალსაზრისით, გნებავთ - საყოფაცხოვრებო. დღეს, როდესაც რუსული საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან ადგილი აქვს მავთულხლართებისა თუ სხვადასხვა ტიპის საფორთიფიკაციო საშუალებების აგებას, საქართველოს ხელისუფლებისგან საპასუხოდ ხშირად გაისმის, რომ 21-ე საუკუნეში "ახალი ბერლინის კედლის'" აგებას პერსპექტივა არ აქვს და როგორც თავის დროზე დანგრეულ იქნა ბერლინის კედელი, ასევე დაინგრევა ეს საოკუპაციო გამყოფი ზოლიც. ამის ერთ-ერთ წინაპირობად კი ხელისუფლება საქართველოს სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას მოიაზრებს. შენდება ახალი საავადმყოფო ენგურთან, იქვე ახალი სავაჭრო ცენტრი გაიხსნა. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა მისასალმებელია, თუმცა ვგონებ, რომ ყოველივე ამას ხელისუფლებამ უფრო ქმედითი ღონისძიებები უნდა მოაყოლოს. ჩემი აზრით, აფხაზეთის და აფხაზთა "დაბრუნების" გზა მაინცა და მაინც მატერიალური კუთხით, ასე ვთქვათ ოდენ "კუჭზე" არ უნდა გადიოდეს. აღმოსავლეთ გერმანიაში, ლამის 40 წლიანმა კომუნისტურმა საოკუპაციო მმართველობამ, მენტალური თვალსაზრისითაც ასევე უზარმაზარი „კედელი" ააგო ორად გაყოფილ გერმანელ ერს შორის, რომლის დანგრევას იმაზე მეტი ძალისხმევა დასჭირდა, ვიდრე უბრალოდ რკინა-ბეტონის კედლის დანგრევას სჭირდება და იგი

ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ იქნა ჩამოშლილი. ისიც გავითვალისწინოთ, რომ მაშინდელი აღმოსავლეთ გერმანიის (გდრ-ის) ეკონომიკა, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაზე რამოდენიმე თავით მაღლა იდგა - დღევანდელ საქართველოზე რომ აღარაფერი ვთქვათ. გერმანიასა და ბერლინისგან განსხვავებით, სადაც გერმანელი ერი ოდენ გარემოებების მსხვერპლი და მძევალი შეიქმნა, საქართველოში ამის მიზეზი მომმეთა შორის ის დაღვრილი სისხლი გახლავთ, რაც იმ ავბედითმა 1992 წლის 14 აგვისტომ და შემდგომმა მოვლენებმა მოგვიტანა. ზუსტადაც, რომ ქართველთა და აფხაზთა სისხლითაა ის მწარე დუღაბი მოზელილი და მის მოლბობას და დანგრევას ისევ ქართველთა და აფხაზთა სინანულის ცრემლები

თუ შეძლებენ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან, აფხაზთა ჭირ-ვარამის გაზიარება, არა ოდენ სიტყვით, არამედ საქმითაც! ახლოვდება 26 მაისი, მთავრობა ამ თარიღის აღნიშვნისას აუცილებლად, კიდევ ერთხელ გაიხსენებს აფხაზეთს, საქართველოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და პატივს მიაგებს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული ქართველი მებრძოლების ხსოვნას ისე, როგორც ამას 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს აღნიშნავს ხოლმე. კიდევ ერთხელ გაჟღერდება აფხაზეთის და აფხაზების დაბრუნების მოწოდება, თუმცა სიტყვებს სავარაუდოდ არც ამჯერად მოჰყვება საქმე, საჭირო და აუცილებელი სამართლებრივი ქმედითი ნაბიჯები. არადა ეს აუცილებლად გასაკეთებელია და ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდება, როგორც ეს დაფიქსირდა კანონიერი ხელისუფლების მიერ გაკეთებულ შეფასებაში. აფხაზეთის და აფხაზთა დაბრუნების კონტექსტში, უპრიანი იქნება, ხელისუფლებამ სხვა, უფრო შესაფერისი თარიღი აირჩიოს დაღუპული ქართველებისა და აფხაზების ხსოვნის პატივსაგებად. ნუ დაგვავიწყდება, რომ 1991 წლის 31 მარტის სრულიად სახალხო რეფერენდუმზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას აფხაზთა დიდმა ნაწილმაც მხარი დაუჭირა. ზემოთ სოხუმის დაცემის დღე ვახსენე და მსურს შეგახსენოთ, რომ 27 სექტემბერს საქართველოში გლოვის დღეა - ხოლო აფხაზები კი თავიანთ "გამარჯვებას და გათავისუფლებას" ზეიმობენ. ამ ვითარებაში კი მერწმუნეთ, ძნელია წარმოიდგინო ერთმანეთის გვერდიგვერდ მჯდომი აფხაზი და ქართველი. 1993 წლის 27 სექტემბერი აფხაზეთის დაკარგვის მიზეზი კი არა, არამედ შედეგია, შედეგია იმ ავბედითი 1992 წლის 14 აგვისტოსი, როდესაც პირველად გავარდა ტყვია და პირველი ქართველი და აფხაზი დაიღუპა. ამიტომ ვფიქრობ, სწორედ 14 აგვისტოა დღე ჩვენი საერთო ტკივილისა და ტრაგედიისა. დღე, როდესაც ძმამ ძმაზე ხელი აიღო, დღე, როდესაც ერთდროულად ჩაიცვეს ქართველმა და აფხაზმა ქალებმა ძაძები. სწორედ ამ დღემ მოუსწრაფა სიცოცხლე ათასობით ყმაწვილ ქართველსა და აფხაზს. ამ დღემ დაუდო სათავე ქვეყნის გენოფონდის განადგურებას... ამ დღეს შეველიეთ ჩვენს აფაზეთსა და აფხაზებს... ამ დღეს ჩაინგრა ხიდი ენგურზე და დღემდე ვერავინ აღადგინა...

მალხაზ მუსერიძე
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"
საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი

აფხაზეთი საქართველოა!

მოგონებები გარდასულ დღეთა . . .

1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება

,



„1991-1992” წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება იყო შედეგი საერთაშორისო მასონური შეთქმულებისა, რომლის სულისჩამდგმელები იყვნენ ანგლოსაქსური მასონური იმპერიის ძალები, პრაქტიკულად განმახორციელებელნი-რუსეთის სამხედრო ძალები, ხოლო გარეგნულ „შირმად” და ვითომ აღმსრულებლად-ადგილობრივი რენეგატები, მამულის მოღალატენი (რომლებსაც ცხადია, ქართველებად ვერ მოვიხსენიებ!). სასაცილოა, რომ ეს რენეგატები ამ მასონურ შეთქმულებას დღემდე „სახალხო რევოლუციად” ნათლავენ და თავსაც იწონებენ იმით, რომ ქვეყნის დაქცევაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს! შეთქმულების იდეოლოგი ა.შ.შ. (ჯორჯ ბუში-უფროსი) არ ჩანს, მოქმედებს რუსეთის ხელით; „მეგობარი რუსეთის” მასონთაგან ზვიად გამსახურდიას ეროვნული კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების სამხედრო ძალით პრაქტიკულად განხორციელებას გენადი ბურბულისი, რომელსაც მუდმივი სატელეფონო კავშირი ჰქონდა სასტუმრო „თბილისის” ბუნკერში მოკალათებულ „რევოლუციონერებთან” (თ. სიგუა, ე. შენგელაია, გ. გეგეშიძე და სხვა მათნაირნი). ამის შესახებ, 1992 წლის 28 ივნისს, მიამბო მოსკოვის საბჭოს დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა. ეს იყო ოფიციალური დელეგაცია, რომელიც აგროვებდა ინფორმაციას თბილისში მიმდინარე მოვლენების შესახებ და რის საფუძველზეც ივლისის თვეში მოსკოვში პრეს-კონფერენციაც კი გამართეს უცხოეთის ქვეყნების ჟურნალისტებისათვის. ეს დელეგაცია თბილისში შეხვდა ჯ. იოსელიანს, ვ. გოგუაძეს და ვგონებ, ე. შევარდნაძესაც.

დელეგაცია იყო ე. წ. „ზაკვო”-ს შტაბშიც, საიდანაც მათ გამოიტანეს უაღრესად საგულისხმო ინფორმაცია: მოსული იყო გ. ბურბულისის შიფროგრამა, რომლის ძალითაც თ. კიტოვანისთვის სასწრაფოდ უნდა გადაეცათ 10 ტანკი ახალციხიდან, რათა ამ ტანკებით თ. კიტოვანი დაძრულიყო სოხუმისაკენ!!!

მკითხველს, ალბათ, ახსოვს რომ სასტუმრო „თბილისის” ბუნკერში ე. წ. „შეთქმულნი” დაბანაკდნენ 1991 წლის დეკემბერში. როგორც კი მათ შეიტყვეს, რომ 1991 წლის 21 დეკემბრის 15:00 საათზე ქ. ალმა-ატაში საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა ნემო ბურჭულაძემ ხელი არ მოაწერა ე. წ. „ახალ სამოკავშირო ხელშეკრულებას” (რომლის საფუძველზეც იშვა „დსთ”), ანუ ფაქტობრივად დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი დაშლილია, ხოლო საქართველოს რესპუბლიკა იურიდიულად დამოუკიდებელი, უმალვე, იმავე ღამის 00.00 საათიდან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ალყა შემოერტყა ჯარებისა (მათ შორის ცხადია, რუსის ჯარისაც), ხოლო 22 დეკემბრის დილის 8 საათიდან პირველი ბომბები დაუშინეს იმ ზარბაზნებიდან, რომელიც იდგა სასტუმრო „თბილისსა” და სამხატვრო გალერეის მიდამოში. (მინდა შემორჩეს ისტორიას ერთი ფაქტი: 22 დეკემბერს სროლა შეწყდა 17:30 სთ-ზე. ვიფიქრეთ, რომ მომხდურნი უკუიქცნენ და გამოვედით უზენაესი საბჭოს შენობის წინ. 19:30 სთ-ზე სასტუმრო „თბილისის” მხრიდან პირველი მოვიდა პარმენ მარგველაშვილი! ვკითხე: აქ რა გინდა მეთქი? „მაინტერესებს, რა ხდებაო” – მიპასუხა. მეორე დღეს უნივერსიტეტში გახარებულმა მითხრა: „აბა, რა გგონიათ, მოგართმევენ თავისუფლებას!”). საგანგებოდ ავღნიშნავ:

პირველსავე რუსულ „ბეტეერში”, რომელიც შევარდა უზენაესი საბჭოს ეზოში და რომელიც ააფეთქეს ეროვნულმა გვარდიელებმა, იჯდა რუსის ჯარის მაიორი და არა თ. კიტოვანი, თ. სიგუა, ე. შენგელაია, გ. გეგეშიძე და სხვა! არც ვ. (დოდო) რცხილაძე ჩანდა იქ! მას თავის ბუნკერი ჰქონდა (უფრო ადრე!) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კორპუსში, სადაც ქმნიდნენ „იდეოლოგიას” ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ. სწორედ, ამ ბუნკერში იშვა ზვიად გამსახურდიას მეტსახელები: „ნეობოლშევიკი”, „იმამი”... და გამოთქმა „პროვინციული ფაშიზმი”. (ეს ამბავიც უნდა შემორჩეს ისტორიას: ამ ბუნკერის ერთი წევრი შემომხვდა 1992 წლის 7 იანვრის

დილას, ვუთხარი: გაიხარეთ, ხომ წავიდა ზვიად გამსახურდია! მიპასუხა: აბა, რა ეგონა, დოდო რცხილაძეს რომ თანამდებობა არ მისცა, მე კი... გაზეთ „იზვესტიის" წაკითხვის საშუალება მომისპოო! მოგვიანებით რომ შემხვდა, მივახალე: ხომ ხარ კმაყოფილი, ხომ მისცა ე. შევარდნაძემ დოდოს თანამდებობა, ხომ კითხულობ ისევ „იზვესტიას", ხომ ხარ „ბედნიერ" საქართველოში აყვავებული?!). მე ვფიქრობ, აუცილებელია, რომ საქართველოს ისტორიას შემორჩეს მათი „დამსახურება"! განსაკუთრებით კი ვ.(დოდო) რცხილაძისა, რომელიც მეტად ამაყობს იმით, რომ ზვიად გამსახურდიას მიმართ პირველად მან იხმარა გამოთქმა „პროვინციული ფაშიზმი"!!! აი, ნახეთ რას წერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (N 288(3288), „7-13" ივლისი,2002 წ): „ეს უკანასკნელი გამოთქმა გამსახურდიას რეჟიმის მიმართ (იმედია, ბატონი ედუარდი არ მიწყენს) პირველად მე ვიხმარე ჯერ კიდევ ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის ჟამს, რაც ჩემს ახლობლებს (აქ გულისხმობს თ.ს.უ.-ს მე-4 კორპუსის ბუნკერის დანარჩენ წევრებს, რომელთა გვარები მე კარგად ვიცი, მაგრამ შეგნებულად არ ვასახელებ, რადგანაც არ მინდა, რომ მათ შთამომავალთ შერცხვეთ ისევე, როგორც უეჭველად შერცხვებათ ვ.(დოდო) რცხილაძის მემკვიდრეთ! – მ.მ) კარგად ახსოვთ." ვ. (დოდო) რცხილაძის ნათქვამიდან გამოსჭვივის მისი სინანული იმის გამო, რომ თავის დროზე, „გენიალური" ზეპირნათქვამი, წერილობით არ დაადასტურა. თუმცა, ეტყობა, გულს არ იტეხს, რაკი ჰგონია, რომ პირველავტორობა გამონათქვამისა მიეკუთვნა მის „ბატონ ედუარდს". აქ კი, ალბათ გაწბილდება ვ. (დოდო) რცხილაძე, როცა გავახსენებ, რომ ეს გამოთქმა – „პროვინციული ფაშიზმი" წერილობითი „განძის" სახით დაგვიტოვა ვინმე სოციოლოგმა ვახტანგ მასხულიამ (რომელმაც 1992 წლის განმავლობაში გაზეთ "Свободная Грузия-ში" მთელი სერია გამოაქვეყნა წერილებისა, რომელშიც დაუფარავად ლანძღა ღირსეულ ქართველთა ეროვნულობა, თავად რუსულსკოლა-დამთავრებულმა სომეხმა (როგორც ეს მითხრეს ჩვენმა სოციოლოგებმა). ამ დამსახურებისათვის ის ე. შევარდნაძის მრჩევლად დააწინაურეს, ვ.(დოდო) რცხილაძესავით; ამჟამად კახეთში რომელიღაც მეღვინეობის ფირმის პრეზიდენტია (და კახური ღვინის ექსპორტით მიღებული დოლარებით მდიდრდება!). აი, როგორ წერს ეს „დიდი ქართველი" ვ. მასხულია (გაზ. "Свободная Грузия", 05.03.92):

"Падение диктатуры, свержение провинциального фашизма. Время покажет-надолго илт навсегда. Ибо в живых осталась... идеология нацизма, утопического мессианства, который перманентно присущи примитивность, одномерность социального битья, агресивность и тоталитаризм. Носители этой идеологии всё ещё живут среди нас. Дух её попрежнему безсознательно владеет массовым сознанием." "Наш менталитет, не имевший иммунитета против тоталитаризма и авторитаризма, просмотрел националистическую угрозу. Как это пройзошло? На протяжении веков история Грузии маятник её национальной психологии колебался между чувством ущербности, с одной стороны, и превосходством над остальным миром, с другой".

ამ მრჩეველ მასხულიას რეკომენდაციით გაიმეორა ე. შევარდნაძემ გამონათქვამი „პროვინციული ფაშიზმი" და „პირველავტორობაც" მას მიენიჭა (აბა, პროტესტს ხომ არ გამოთქვამდა მონა მორჩილი!). აი, ასე „განიძარცვა" ისტორიული (უფრო ზუსტად – ისტერიული!) ქმნილებისაგან („პროვინციული ფაშიზმი") მისი ნამდვილი პირველი „დამბადებელი" ვ.(დოდო) რცხილაძე!!!

ძალაუნებურად მახსენდება საცოდავი ვალიკო ჯუღელი, რომელმაც პირველმა თქვა ილიას მკლელობაზე ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას (როცა ის „ბოლშევიკი" იყო !): „ლეს რუბიატ, შეპკი ლეტიატ!" მერე კი, როცა ის „მენშევიკი" გახდა, ეს გამოთქმა გაიმეორა ნოე ჟორდანიამ და პირველავტორობაც მას მიეწერა! (აბა რა, პროტესტს ხომ არ გამოთქვამდა ვალიკო, ნოეს გვარდიის სარდალი?!)

ეჰ, ისტორიავ, ისტორიავ! როგორ გიყვარს გამეორებანი! ახლა იმას ვიტყვი, თუ რას ჩავაცივდი ამ ვ. (დოდო) რცხილაძეს. საქმე ის არის, რომ ვ.(დოდო) რცხილაძე დღესაც ახვავებს ზვიად გამსახურდიას „მამხილებელ" წერილებს (ძირითადად ისეთ „ეროვნულ" გაზეთებში, როგორიც არის „ლიტერატურული საქართველო" და განსაკუთრებით... „საქართველოს რესპუბლიკა"). უნდა ვაღიარო: ვ. მასხულიაც იმიტომ გამახსენდა, რომ ვ. (დოდო) რცხილაძე თავისი მრავალმხრივი ნაკითხობით ტოლს არ უდებს ვ. მასხულიას ზ.გამსახურდიას „მხილებაში" და რაც მთავარია... ე. შევარდნაძის ერთგულებაში! (ვინძლო, მანაც იმდენი „იღვაწოს", რომ ბოლოს ვ. მასხულიასავით რაიმე „ფირმა" ან შ.პ.ს. გახსნას! იყოს ნება ე. შევარდნაძისა! ოდესმე მაინც იქნება!) მომიტევე, მკითხველო, ერთსაც ვიტყვი ვ.(დოდო) რცხილაძეზე და მეტს არა. ის, თავის წერილებში ბევრ ტყუილს ამბობს. ამჟამად, ჩემთვის მხოლოდ ერთია საინტერესო, ყველაზე მთავარი. ვ.(დოდო) რცხილაძე ამაყობს: „...ერის რჩეული ნაწილი, ვინც გამსახურდიას მოფაშისტო რეჟიმი დაამხო". მე არ ვიცი. თავის თავს გულისხმობს თუ არა ამ ნაწილში. (ისე, „მოკრძალებულად" კი წერს თავის თავზე: „პროვინციული ფაშიზმის" დამხობას მე ზოგიერთი სერიის მაყურებლის როლში არ შევხვედრივარ და მოქალაქეობრივი ვალი იმ პერიოდში სხვებთან ერთად მეც მოვიხადე" (იხ. ზემოხსენებული მისი

წერილი). დიახაც! კარგად ვიცი, თუ როგორ სიამოვნებდა ვ. რცხილაძეს ,,ზვიადისტების" კვლა, დასახიჩრება, დაპატიმრება, დევნა! – მ.მ). სხვებს, ვისაც გულისხმობს, ვიცი. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ პირველ რუსულ ,,ბეტეერში", რომელიც შევარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობის ეზოში, არ მჯდარა ,,ერის რჩეული ნაწილის" არცერთი კაცი. არც მომდევნო ,,ბეტეერებში". არც ზარბაზნებიდან ისროდნენ და არც რაკეტებიდან (ისინი ოდენ ბილწსიტყვაობდნენ სასტუმრო ,,თბილისის" ბუნკერში, დუჟმორეული თ. სიგუას დარად). ასე რომ, ,,ერის რჩეული ნაწილი ვერ დაამხობდა ზ. გამსახურდიას კანონიერ ხელისუფლებას, რომ არა ა.შ.შ. მასონთა ძალისხმევა (შავი, რეაქციულ მასონის ჯ. ბუშის-უფროსის მეთაურობით) და რუსეთის სამხედრო ძალა. ვერ სძლევდა 1993 წელს ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას ,,ერის რჩეული ნაწილი", რომ არა ,,ასლან აბაშიძის ბათუმიდან" წამოსული ტანკები და ბალტინის ესკადრა (ცნობისათვის: ერთადერთი ,,გამბედავი მეომარი" ,,ერის რჩეულ ნაწილში" აღმოჩნდა ვ.(დოდო) რცხილაძის მეგობარი, 1993 წ. 27 ივლისს, ქ. სოჭში, აფხაზეთის გამყიდველი, თ.ს.უ. მე-4 კორპუსის ბუნკერის აქტიური წევრი ვახტანგ გოგუაძე, ვინაც, თითქოს, მჯდარა ბალტინის ტანკში. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ მისი მეგობრები უნივერსიტეტში (თვით გოგუაძე კი ამტკიცებდა, რომ ტანკში არ ვყოფილვარ, უკან მიმავალ ,,ვოლგაში" ვიჯექიო – მ.მ.), რომ არა ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტიდან მოვლინებული სპეცაგენტები (იხ. გაზეთი ,,ალი", N144, ,,12-13" სექტემბერი, 2000 წ. ეს სპეცაგენტები თავად აღიარებენ ამას !), ვ. (დოდო) რცხილაძე კი დაჟინებით გაიძახის – ,,ერის რჩეულმა ნაწილმა დაამხო ზ.გამსახურდიაო". ერთი, კარგად მიიხედ-მოიხედოს, მოიძიოს ეს ,,რჩეული ნაწილი". გაეცინება მწარედ! თუმცა რა, მეც ფუჭად ვირჯები! ვ.(დოდო) რცხილაძემ და მისთანებმა ხომ შესანიშნავად იციან, თუ რა საერთაშორისო ძალამ ,,დაამხო" საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ეროვნული ხელისუფლება ,1991-1992" წლების დეკემბერ-იანვარში! იციან, მაგრამ თქმას ვერ გაბედავენ, რაკი იგივე ძალა მათაც დაამხობს! სწორედ ამ ძალის მსახურნი არიან ეგენი! აქ შევჩერდები და დაბეჯიდებით გავიმეორებ ყველასათვის ცხადყოფილს:

,,თავს ნუ იბითურებ ,,ერის რჩეულო ნაწილო" (პუტჩისტებო! არც თქვენ და არც თვით მამას თქვენსას არ ,,დაგიმხიათ" ზ. გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება! ის ვერ აიტანა და ამიტომაც განდევნა მსოფლიო გლობალისტურმა ძალამ! ამის დამადასტურებელი ბევრი მონაცემი არსებობს დღეს. ცხადია, ყველას ვერ მოვიტან. ზოგიერთს გავიხსენებ მხოლოდ. – დავიწყებ უმთავრესით, საიდანაც მოდის ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა: ჯ. ბუში და ე. შევარდნაძე სანკტ-პეტერბურგი, "НародныяПравда", N 41,1992 წ – "От редакции": "Некоторие высказывание З. Гамсахурдия и Д. Дудаева о намерениях "Мировой Элити" установить тотальное господство на всей планете, поставить под свой контроль все геополитические процесси и навести "мировой порядок" кому-то могут показаться преувеличением. Однако многочисленные факты говорят в пользи этого утверждения ниже мы публикуем выдержки из двух серёзных политологических работ, которие совсем недавно были напечатаны в США (1. А Саттон. "Два лица Дж. Буша", Нью Йорк. 1988; 2. В. Гриффин, Т. Четкин. "Подлинная биография Дж. Буша". Вашингтон, 1992). Они как нельзя лучше согласуютсия с высказываними двух президентов. "Согласно новейшим американским исследованиям личности и биографии президента США Джордж Буш-член тайного массонского рассистского общества "Череп и Кость" или братство смерти". Это общество ставит своей целью создание всемирной империи белой рассы, то есть англосаксонцев, геноцид, стерилизацию остального человечества, уничтожение независимости всех государств, не подчиняющийхся диктату США и НАТО, что онт называют "Новым Мировым Порядком". Шеварднадзе агент Дж. Буша и ЦРУ на кавказе, которому поручена уничтожение государств и геноцид кавказского населения путьём его бальканизации, превращением этой территории для разведивательной деятельности против Ирана, Ирака и других стран Азии".

შენიშვნა: მკითხველს შევახსენებ, რომ ეს ამონაწერი პირველად გადმობეჭდა გაზეთმა ,,აღდგომამ", 1992, როცა ის გამოდიოდა ჯერ კიდევ სოხუმში. ცოტა მოგვიანებით (28. ,,05-03".06.1992 წ.) ,,იბერია-სპექტრმა" დააპირა ბეჭდვა ინგლისური დედნიდან თარგმნისა, მაგრამ ვერ შეძლო რაღაცის გამო – მ. მ. – ახლა გავიხსენებ ერთ პუბლიკაციას (ჟურნალი "Наука и Религия", N12, 1991), რომლის ავტორია რუსეთის ერთ-ერთი ცნობილი პროგნოზისტი ჰოროსკოპისტი გრიგორი კვაშა. მისი სტატიის სათაურია – 1992, "Что готовит год обезьяньи?" სტატიის იმ ნაწილში (გვ.39), სადაც საუბარია იდეოლოგიურ-ინფორმაციულ სფეროში პიროვნებების მოღვაწეობის შესახებ, უცებ (როგორც რუსები იტყვიან – "Не с того, не с чего") წერია: "И Ландсбергис или Гамсахурдия, заявляя о победе гуманитариев в борьбе за власть, очень сильно ошибаются…". ხოლო სტატიის იმ ნაწილში, რომელშიც საუბარია რუსი პოლიტიკოსების ბედ-იღბალზე (გვ.40), სულაც უცნაური რამ არის გაჟღერებული: "Сбивается прогноз гороскопа о фиаско политиков войнствующих гуманитариев: Гамсахурдия, Жириновского ,,მივაქციე ყურადღება: გ. კვაშას

სტატია დაიბეჭდა დეკემბერში. 1991 წლის დეკემბერში დაიწყეს ზ. გამსახურდიას „ფიასკო". ჟურნალის ეს ნომერი სტამბაში ჩაბარებულია 26.09.1991-ში. მაშასადამე, ამ დროისთვის (ალბათ, უფრო ადრეც, სტატიის დაწერის დროსვე!) გ. კვაშამ იცის, რომ, ზ. გამსახურდიას 1992 წელს ელის „ფიასკო". საიდან იცის? ამას დიდი მიხვედრა არ უნდა, თუ გავითვალისწინებთ იმ კარგად ცნობილ ფაქტს, რომ ე.წ. „პროგნოზისტ-ჰოროსკოპისტები" (მაგალითად, ცოლ-ქმარი გლობები) საბჭოთა კავშირის ს.უ.კ.-ის „რუპორები" იყვნენ). რაკი რუსეთში ს.უ.კ-მა იცოდა ზ.გამსახურდიას აუცილებელი „ფიასკო", ბუნებრივია, ს.უ.კ-ის თბილისის ფილიალებმაც იცოდნენ. მაგალითად, იცოდა ედპ-მ, იცოდნენ „მწვანეებმა", იცოდა „სახალხო ფრონტმა" და სხვა. იცოდნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ თანამშრომლებმაც, რომლებიც ისხდნენ 1 კორპუსის კიბეებზე და „ამხობდნენ" ზ. გამსახურდიას „პროვინციულ ფაშიზმზე"!!!

ცოცხალ ფაქტს გავიხსენებ:

კიბეებზე „მჯდარი" ,ერის რჩეული ნაწილის" ერთ-ერთი „ღირსეული" წარმომადგენელი, პროფესორი ციალა სვანიძე სექტემბერში „ჭკუას არიგებდა" ერის „არარჩეული ნაწილის" „ულირს" წარმომადგენელს, პროფესორ თენგიზ კიკაჩეიშვილს: „თენგიზ, თავი დაანებე მაგ ზვიადს, ეგ დეკემბერში უკვე აღარ იქნება!".

გამოცანას ვთავაზობ მკითხველს: „საიდან იცოდა ეს ციალა სვანიძემ?!" – ახლა უფრო რთულ გამოცანას შევთავაზებ მკითხველს, წარმოვადგენ რა ერთი პიროვნების მეტად საგულისხმო მოსაზრებებს. ეს მოსაზრებანი ამოვწერე გაზეთ „ახალი თაობიდან" (N 344, 14. 12. 97), რომელშიც დაიბეჭდა წერილი – „ზვიად გამსახურდიას აღზევება და დაცემა". აი, ნაწყვეტები ამ წერილიდან: „ოპოზიციას (ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ – მ.მ.) მხარს უჭერდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციიდან ისეთი პიროვნებებიც, რომლებიც ახლოს იყვნენ და თანამშრომლობდნენ ედუარდ შევარდნაძესათან მისი ცენტრალური კომიტეტის მდივნობის პერიოდში. ესენი არიან: კინორეჟისორები რეზო ჩხეიძე და ელდარ შენგელაია, პროფესორი აკაკი ბაქრაძე და სხვები".

შენიშვნა:

1. საინტერესო ცნობა მკითხველისათვის: ე. წ. „ზაკვო"-ს შტაბში რომ გადაიხადეს რუსეთის გ.რ.უ-ს დაარსების მე-75 წლისთავი, ზ. გამსახურდიას მტრებიდან მხოლოდ ე. შენგელაია მიიწვიეს! გამოცანა: ვინ ყოფილა ე. შენგელაია?

2. ცნობილია, რომ აკაკი ბაქრაძე არ იყო პროფესორი. გამოცანა: ხომ არ იყო „პროფესორი" ე. წ. „კლიჩკა"? -„გამსახურდიასადმი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ცნობილია. ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს პრესით, მაგრამ იგი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი იყო და მისი ჩამოგდების უფლება არავის ჰქონდა. ასეთი მოქმედება კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა. რას აკეთებდა ამ დროს მოსკოვი? ხელი შეუშალა მას? არა. ცენტრმა ფაქტობრივად მხარი დაუჭირა გადატრიალებას. რესპუბლიკის პირველი პირის ადგილს ე. შევარდნაძე უმიზნებდა". შენიშვნა:

1. ცენტრი-მოსკოვი არ იყო გადამწყვეტი (შთამაგონებელი) ძალა. ის იყო მხოლოდ აღმასრულებელი ტექნიკური ძალა.

2. შთამაგონებელი ძალა იყო ვაშინგტონში (აშშ). სწორედ, ეს ძალა „უმიზნებდა" და არა შევარდნაძე! „შევარდნაძეს რაღა? მან თავისას მიაღწია (უფრო ზუსტად, მიაღწევინეს – მ.მ.); კანონის წინააღმდეგ საქართველოს მეთაური გახდა. როგორც ჩანს, თავისი უახლოესი მეგობრების (მასონურ ლოჟაში „ძმებს"რომ უწოდებენ ერთიმეორეს, ლოჟის გარეთ კი - „მეგობრებს"!-მ.მ) -დასავლეთის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების (უპირველეს ყოვლისა ჯ. ბუშის და ჯ. ბეიკერის – მ.მ) დახმარების იმედი ჰქონდა. იმედი ჰქონდა იმისიც, რომ დასავლეთიდან ნაკადად წამოსული დოლარები თვალის დახამხამებაში ააყვავებდა საქართველოს... ჯერჯერობით კი ქართველ ხალხს შევარდნაძის პოლიტიკა ძალიან ძვირად უჯდება (არ არსებობს „შევარდნაძის პოლიტიკა", არსებობს "ვაშინგტონის (აშშ) პოლიტიკა" საქართველოს დაკაბალებისა, რომელსაც შევარდნაძე აღასრულებს! – მ.მ). დიდი ჭკუა არ სჭირდება იმის დანახვას, რომ აქ წარმოდგენილი ნაწყვეტებიდან აშკარად ჩანს ის ზოგადი სქემა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა შეთქმულება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ „1991-1992" წლებში!

როგორც ზემოთ ერთხელ უკვე გამოვთქვი, ეს სქემა ასეთია:

1. შეთქმულების სულის ჩამდგმელი – გარე გლობალისტური ძალა (ძირითადად, აშშ) ჯ. ბუშის ფორმულა – „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდის" (1991 წლის 19 აგვისტოს 12:00-სთ-ზე მოსკოვის პუტჩის გამო თეთრი სახლის ეზოში გამართული ჯ. ბუშის პრეს-კონფერენცია, რომელზეც მან განაცხადა, რომ არ სცნობს და გმობს პუტჩისტებს. მხარს უჭერს რეალურ ხელისუფლებას და გორბაჩოვის პოლიტიკას. ამერიკის პრეზიდენტის ამ განცხადების გამო, მანდილოსანმა ჟურნალისტმა იკითხა: „თქვენ ასეთ შეფასებას აძლევთ მოსკოვის პუტჩს, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მას „გორბაჩოვის შოუ" უწოდა". ბუში უეცრად ანერვიულდა და საკმაოდ უხეშად, დემოკრატიული ცნობიერების სახელმწიფო მოღვაწისათვის შეუფერებელი ტონითა და სიფიცხით თქვა, რომ ეს სისულელეა. „გამსახურდია დინების

საწინააღმდეგოდ მიდის. დროა, გამოერკვიოს და რეალობას გაუსწოროს თვალიო".

ამერიკის ტელეკომპანია სნნ-მა შეკითხვა დაუსვა საქართველოს პრეზიდენტს, თუ რას ფიქრობდა ამ პუტჩის შესახებ: „მე ვფიქრობ", იყო პასუხი, "ეს პუტჩი თვით გორბაჩოვის მიერაა დაგეგმილი და განხორციელებული ამ პირებთან (იგულისმება იაზოვი, პუგო და ა.შ) ერთად, რადგან ეს აძლევდა პოლიტიკურ დივიდენდებს".

მეორე დღეს იმავე სნნ-მა აჩვენა ჯორჯ ბუში, რომელმაც განაცხადა: „მე ვფიქრობ, რომ ამ კაცმა (ანუ გამსახურდიამ) ცოტათი მაინც უნდა დაამუშაოს ის განცხადებები, რომელთა გაკეთებასაც აპირებს... ეს არის კაცი, რომელიც მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება... ის უნდა მიჰყვეს დინებას და გაიგოს, რა ხდება მსოფლიოში" (ორივე ციტატა აღებულია „უშიშროების პოლიტიკური ცენტრის" მასალებიდან, ვაშინგტონი 21.08.1991)

– ეს ციტატები – საკუთრივ ვ. რცხილაძისთვის, რომელსაც ჯიუტად არ უნდა აღიაროს, რომ ჯ. ბუშმა მართლაც თქვა ასეთი რამ. ამის საპასუხოდ ზ. გამსახურდიამ ბრძანა:

„დიახ, დინების მიმართულებით ცურვამ" ჯორჯ ბუშს ვერ მოუტანა გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში. ერთმა დასავლელმა ანალიტიკოსმა ამაზე მოსწრებულად შენიშნა: „მდინარის დინებას მხოლოდ საქონლის ლეში და მკვდარი თევზები მიჰყვებიანო".

იხ.: „საქართველოს სამრეკლო", 23.01.1993. გვ 2-მ.მ.)

2. შეთქმულების ტექნიკურად უზრუნველყოფა – თბილისში განთავსებული „ზაკვო"-ს ჯარის ნაწილები.

3. ფორმალური აღმასრულებელნი შეთქმულებისა (ანუ შირმა, გარეგანი) – ადგილობრივი რენეგატები: დარტანიან-მუშკეტერები (როგორც მათ უწოდა ვაი-მწერალმა ნაირა გელაშვილმა!) – თ. სიგუა, თ. კიტოვანი, ჯ. იოსელიანი, გ. ყარყარაშვილი და წითელი ინტელიგენტები (რ. ჩხეიძე, ე. შენგელაია, გ. შენგელაია, ი. ორჯონიკიძე, ნ. ლომოური, ლ. ღოღობერიძე, ლ. ღვინჯილია, რ. მიქაბერიძე და სხვა ამათნაირები). ახლა კი მკითხველს ვაცნობებ, რომ ზემოთ მოტანილი ციტატები წერილიდან „ზვიად გამსახურდიას აღზევება და დაცემა" ეკუთვნის, არც მეტი, არც ნაკლები... საბჭოთა კავშირის კ.გ.ბ-ს მე-5 სამმართველოს ყოფილ უფროს ფ. დ. ბობკოვს!!!

აი, პასუხი გამოცანაზე, თუ საიდან იცოდნენ თ.ს.უ 1 კორპუსის წინ კიბეებზე ჩამოლაგებულმა პუტჩისტებმა, რომ ზ. გამსახურდია დეკემბერში უკვე აღარ იქნებოდა!!! კიდევ ერთი ფაქტი, დამადასტურებელი საერთაშორისო შეთქმულებისა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ. 1991 წლის 31 დეკემბერს ევროკავშირმა აღიარა 11-ივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტი, საქართველოს რესპუბლიკისა კი-არა!!! (არადა ხომ გახსოვთ-1991 წლის 21 დეკემბრისთვის მხოლოდ საქართველოს რეპუბლიკა იყო იურიდიულად დამოუკიდებელი!). გარესამყაროს გლობალისტებს ეროვნული ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკა არ უნდოდათ, თორემ, ანტიეროვნული ე. შევარდნაძის საქართველო ევროკავშირმა დაუყოვნებლივ სცნო 1992 წლის 23 მარტს!

მორის მუსერიძე

ზვიად გამსახურდიას „შეცდომები“

1995 წლის 27. ივლისს, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ მიერ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა იკითხა: „რა შეცდომები ჰქონდა ზვიად გამსახურდიას?!“ როგორც ჩანს ვიღაცას კვლავაც აინტერესებს ზვიად გამსახურდიას „შეცდომები“. ამიტომ წარმოვადგენ არასრულ ნუსხას ამ„შეცდომებისა“, რომლებიც ქართველი და უცხოელი დემოკრატებისა კარგად არის ცნობილი. ვფიქრობ, აუცილებელია რომ დრო და დრო შევახსენოთ ეს „შეცდომები“ „დემოკრატებს“ რათა რომელიმე „შეცდომა“ არ დარჩეთ „გამოუსწორებელი“. ჯერ დავასახელებ უმთავრეს პოლიტიკურ „შეცდომებს“.

პირველი ,,შეცდომა”: 1990 წლის 28 ოქტომბერს ნამდვილ, პერიოდულ, პატიოსან დემოკრატიულ, მრავალპრტიულ არჩევნებში დაამარცხა კომუნისტები. დემოკრატიული მსოფლიოსთვის ეს იყო მოულოდნელი, უჩვეულო ფაქტი, რადგან “სამყაროს არქიტექტორ მამათა” გეგმით ხელისუფლებაში უნდა მოსულიყო ვინმე კომუნისტი, რომელსაც მერე გაადემოკრატებდნენ, და რომელიც, ცხადია იქნებოდა მარიონეტი. მათ სულაც არ სჭირდებოდათ “ნაციონალისტი” ზვიად გამსახურდია. “მსოფლიოს ბრძენმა მამებმა” ვერ გამოითვალეს ქართველი ერის დაუნჯებული უკვდავი ნება თავისუფლების მოპოვებისა და ღირსეულად ვერ შეაფასეს ზვიად გამსახურდიას ღვთივკურთხეული არსება. ამან გააოგნა და გაამწარა არა მხოლოდ დამხობილი კომუნისტები (რომლებიც გადმოკრატებას ელოდნენ), არამედ მთელი მსოფლიოს დემოკრატებიც, რადგანაც ზვიად გამსახურდიამ ხელი შეუშალა კომუნისტთა გადემოკრატების საერთაშორისო გეგმის განხორციელებას, ანუ როგორც უფრო მოგვიანებით განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა, შავმა რასისტ-მასონმა ჯორჯ ბუშმა: “იგი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს”. რას იზამ, ზვიად გამსახურდია ხომ მთელი თავისი ცხოვრებით სულ მუდამ დინების საწინააღმდეგოდ ცურავდა!საპირისპიროდ ცოცხალი კალმახები მიცურავენ, ხოლო დინების გაყოლებით კო – ოდენ მკვდარი თევზები! იმ დროისთვის ზვიად გამსახურდია იყო ერთადერთი ხელისუფალი თავისი ქვეყნისა, რომელიც არ ემორჩილებოდა უცხოთა ნებას! ამიტომაც გამოაცხადეს “აგრესიულ ნაციონალისტად”, “დიქტატორად”.

მეორე ,,შეცდომა”: 1991 წლის 31 მარტს გამართა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი, რომლის შედეგადაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ ისურვა დამოუკიდებ-ლობა. გავიხსენოთ, რომ ეს რეფერენდუმი გაიმართა მაშინ, როცა ჯერაც არ იყო დაშლილი საბჭოთა კავშირი, პირიქით, 17 მარტის რეფერნდუმით რუსეთმა სცადა კიდევაც სსრკ-ს შენარჩუნება. გავიხსენოთ ისიც, რომ სსრკ-ს შენარჩუნებას ხმა მისცა ე.შევარდნაძემ, რომელმაც მონაწილეობა არ მიიღო 31 მარტის რეფერენდუმში, რადგანაც არ იყო საქართველოს მოქალაქე. ეს ის დრო იყო როდესაც მ.გორბაჩოვი წამდაუწუმ ემუქრებოდა ზვიად გამსახურდიას აფხაზეთის და სამაჩაბლოს წართმევით. 31 მარტის რეფერენდუმის უმთავრესი პოლიტიკური ღირებულება ის იყო, რომ იგი გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციის ქვეშ მყოფ მთლიან ტერიტორიაზე. ამის ფასი განსაკუთრებით ახლა ჩანს, როცა ე.შევარდნაძე ფიქრობს რეფერენდუმის მოწყობას ტერიტორიულად დაქუცმაცებულ ქვეყანაში, რათა იურიდიულადაც დააფიქსიროს აფხაზეთის და სამაჩაბლოს ჩამოცილება!

მესამე ,,შეცდომა”: 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. გავიხსენოთ, რომ სწორედ ამ აქტის საფუძველზე მიიღეს საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად და არა შევარდნაძის ე.წ. “ავტორიტეტის”, “ფენომენის”, “დიდი პოლიტიკოსობის” თუ “მშვიდობის მტრედობის” წყალობით! ამის დასტურად წარმოგიდგენთ საქართველოში “გაერო”-ს მუდმივი წარმომადგენლის სტარჩევიჩის ნათქვამს: ,,რეფერენდუმის შედეგი და რამდენიმე დღის მერე 9 აპრილს მიღებული დამოუკიდებლობის აქტი გახდა საფუძველი, რომ საქართველოს რესპუბლიკა მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში”. ჩვენთვის სამწუხარო კი ის არის, რომ ამავე სტარჩევიჩის თვალწინ მისივე წაყრუებით ე.შევარდნაძემ დამოუკიდებლობა დააკარგვინა საქართველოს და თავი ამოაყოფინა ე.წ. დსთ-ში!

მეოთხე ,,შეცდომა”: 1991 წლის 26 მაისს გამართა პრეზიდენტის არჩევნები, რომლის შედეგადაც საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად მოსახლეობამ აირჩია ზვიად გამსახურდია. სწორედ რომ პირველ პრეზიდენტად! საქმე ის არის, რომ დღევანდელი სოც.დემოკრატები პირველ პრეზიდენტად არასწირად მოიხსენიებენ ნოე ჟორდანიას, რომელიც იყო მთავრობის თავმჯდომარე. თანაც ცნობილია მისი პოზიცია, რომელიც

თავდაპირველად სრულიადაც არ ითვალისწინებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

მეხუთე ,,შეცდომა": 1991 წლის 21 დეკემბერს ქ.ალმა-ატაში ხელი არ მოაწერა ახალ ე.წ. სამოკავშირო ხელშეკრულებას, რომელიც შემდგომ დასაბამი გახდა ე. წ. "დსთ"-ს შეკოწიწებისა. ზვიად გამსახურდიამ ამჯერადაც დინების საწინააღმდეგოდ გასცურა! შეგახსენებთ, რომ ბუშ-გორბაჩოვის იმ საიდუმლო გარიგებით, რომელიც შედგა მანამდე კუნძულ მალტაზე, საბჭოთა კავშირიდან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ ბალტიის რესპუბლიკები, დანარჩენი 12 კი უნდა დარჩენილიყვნენ მომავალ "დსთ"-ში. გაცნობებთ, რომ ეს ფაქტი ხმამაღლა დაადასტურა 1995 წლის ივლისის თვის ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბესმერტნიხმა. ზვიად გამსახურდიამ კი ჩაშალა ბუშ-გორბაჩოვის გეგმა: 1991 წლის 21 დეკემბერს 15:00 საათის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკა გახდა პოლიტიკურად დე-იურე დამოუკიდებელი ქვეყანა! ეს ვერ აიტანეს ქართველმა კომუნისტებმა და უცხოელმა დემოკრატებმა – 1991 წლის 22 დეკემბერს ყუმბარები დაუშინეს ზვიად გამსახურდიას! ეს იმ დროს, როცა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ბევრმა ქვეყანამ ცნო, ხოლო მათი რიცხვი 26 იყო 1992 წლის 6 იანვრისთვის, როცა ზვიად გამსახურდიამ დასტოვა უზენაესი საბჭოს შენობა.

მეექვსე ,,შეცდომა": უპირველესადვე იზრუნა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაზე. გავიხსენოთ, რომ უკვე 1990 წლის 14, 15, 22 ნოემბერს, 11, 26 დეკემბერს, 1991 წლის 29 იანვარს, 27,28 თებერვალს, 20 მარტს და სულ ბოლოს მაისის თვეში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ კანონებით შეიტანა ცვლილებები და დამატებები 1978 წლის კონსტიტუციაში. გაცხადდა, რომ ეს კონსტიტუცია იყო გარდამავალი დროის კონსტიტუცია, რომელიც თანმიმდევრულად უმჯობესდებოდა და ბოლოს მიიღებდა სრულიად დახვეწილ სახეს, შესაბამის საერთაშორისო საუკეთესო სტანდარტებისა. ამ ფაქტის განსაკუთრებული ღირებულება გამოჩნდა

დღეს როცა ე.შევარდნაძის უკანონო მართველობა ასე საცოდავად ჯახირობს კონსტიტუციის მისაღებად!

მეშვიდე ,,შეცდომა": საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსის ჯარს მიანიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი.

მერვე ,,შეცდომა": შეინარჩუნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მოქნილი პოლიტიკით თავიდან აიცილა ე.წ. "ეთნო კონფლიქტი" აფხაზეთში; გააუქმა ე. წ. ,,სამხრე ოსეთის ავტონომიური ოლქი"; შეაჩერა დემოგრაფიული ექსპანსია მესხეთელი თურქებისა, აღკვეთა უცხოთა მიერ ქართველთა და აფხაზთა გენოციდის განხორციელების მზაკვრული გეგმა და სხვა.

მეცხრე "შეცდომა": საგანგებოდ იზრუნა კავკასიის სახლის შემქმნაზე (ამ მიზნით სცნო ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა).

მეათე ,,შეცდომა": ამხილა ამორალობა კაპიტალიზმისა. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1977 წელს დაწერა ზვიად გამსახურდიამ ცნობილი გაფრთხილება-მხილება: ,,დილემა კაცობრიობის წინაშე", რომელიც ავტორთან ერთად 1977 წლის 7 აპრილს დააპატიმრეს და განთავისუფლდა მხოლოდ 1991 წლის იანვარში (იხ. ,,ლიტ.სქ", 28.ივნისი, 1991წ.). ამ წერილის დედააზრი მოკლედ ასეთია: მართალია კაპიტალიზმმა ადამიანებს მისცა მატერიალური კეთილდღეობა, მაგრამ სამაგიეროდ გამოუფიტა სულიერი სამყარო, შეჰყარა უზნეობანი. საინტერესო ფაქტია, რომ ამ დასკვნამდე თვით კაპიტალიზმის სამფლობელოშიც ბევრი მივიდა. მოვიხმობ მხოლოდ ერთ მაგალითს: ჟურნალ "ამერიკის" (რუსულ ენაზე) 1991 წლის აპრილის თვის ნომერში დაბეჭდილია ინგლისელი ისტორიკოსის პოლ ჯონსონის სტატია, რომელსაც აქვს მეტად საგულისხმო სათაური – "გავხადოთ კაპიტალიზმი მორალური". გთავაზობთ ერთ ნაწყვეტს ამ სტატიიდან: ,,ადამიანი ხომ არა მხოლოდ ხორციელი არამედ სულიერ არსებაც არის, და ის ვერ იქნება კმაყოფილი, თუკი არ გძნობს, რომ ემსახურება ზნეობრივ მიზანს, თუნდაც ფართობითად არასრულყოფილად.

აი, ამ მხრივ კაპიტალიზმი ნაკლულოვანია". ,,კაპიტალიზმი მისი სიძლიერის და ეფექტურობის საფუძველი – საბაზრო სისტემა – ისახავს მხოლოდ ერთ მიზანს. ის ბრმა არის ისეთი ფაქტორების მიმართ, როგორიც არის კლასობრივი და რასსიული კუთვნილება, კანის ფერი, რელიგია და სქესი, ნაციონალურობა და რწმენანი, კეთილი და ბოროტი. ის მატერიალურია, უგულოა და დაცლილია ადამიანურ თვისებათგან". "სადამდე მიგვიყვანა ამან? სერიოზულ მორალურ პრობლემებამდე. შემიძლია ეს გამოვსახო ერთი ფრაზიდ: როგორ შთავბეროთ ზნეობრივი არსი კაპიტალიზმს ტრიუმფალურ სვლაში?". დილემა კაცობრიობის წინაშე იმის გამო გაჩნდა, რომ კაპიტალიზმმა ხელყო ბიბლიური წესი ადამიანის ცხოვრებისა: ჯერ სული, მერე ხორცი ანუ ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას. სულაც არ მიკვირს, როცა მასონი ჯორჯ ბუში აცხადებს: "ამერიკის კომერციული, პოლიტიკური და საერთაშორისო კეთოლდღეობის ფუნდამენტად იქცა აშშ-ს კონსტიტუცია..." როგორც ვხედავთ, აქ პირველ ადგილზედ დგას კომერციული კეთილდღეობა და არც კი არის ნახსენები სულიერი, ზნეობრივი, მორალური კეთილდღეობა! ჯორჯ ბუშის ფონზე ცოტა მიკვირს (და არც მიკვირს) ქართველი ბიბლიოლოგის,

ფოლკლორისტის პროფესორ ზურაბ კიკნაძის ამონაკვნესი: „სამწუხაროდ, სწორი აღმოჩნდა თეზისი: ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას" („საქართველო" N.21, 1994 წელი).

აი ზვიად გამსახურდია კი სულ მუდამ ბიბლიური წესით ცხოვრობდა თავად და იღვწოდა კიდეც იმისთვის, რომ თავისი ქვეყნის სახელმწიფროება აეგო, უპირველესად სულიერი, ზნეობრივი,

მორალური სრულყოფილების და არა კომერციული კეთილდღეობის საფუძველზე. მსოფლიოს ქვეყნებს სთავაზობდა, რომ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის და ურთიერთობის პრიორიტეტულ პრინციპად ყოფილიყო უმაღლესი ზნეობრიობა და არა ეკონომიკური შესაძლებლობანი.

„ნამდვილი დამოუკიდებლობის გზა, ჩემი აზრით, ეროვნული სულის, ეროვნული ხასიათის რესტავრაციით, მრავალი თვალსაზრისით უკვე დაკარგული ეროვნული სიამაყის, ეროვნული ღირსების აღორძინებით უნდა დაიწყოს"

ზვიად გამსახურდია

მშვიდობისა და განვითარებისათვის, ერთად შევკრათ კავკასიური წრე
(„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების, „სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის" და „ადამიანის უფლებათა დაცვის კავკასიის ცენტრის" ერთობლივი წინადადება-პროექტი)

<u>კავკასიური ფორმულა</u>

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე . . .

ესაა უდიდესი მნიშვნელობის ფორმულა კავკასიისათვის. ვფიქრობთ, აქ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პირველად ნახსენებია სწორედ ნიკოფსია (`ნიკოფსიიდან დარუბანდამდე") და არა დარუბანდი (`დარუბანდიდან ნიკოფსიამდე").

მოცემულ ტოპონიმითა ამგვარი წყობა კავკასიურ ფორმულაში მიანიშნებს იმაზე, რომ დედამიწის ამ რეგიონის გაერთიანების მზე საქართველოა (კავკასიური გეოპოლიტიკა).

ნიკოფსია უძველესი დროიდან ქართველური მოსახლეობით იყო დასახლებული; კერკეტები ოდითგანვე მკვიდრობდნენ კავკასიონის ქედის ჩრდილო-დასავლეთში. თუმცა, ამ უკანასკნელ საუკუნეებში (მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული), ამ მიწაზე, ძირძველი ხალხის მასობრივი აყრა-აღრევა ხდებოდა ჯერ ოსმალური, ხოლო შემდეგ რუსიფიკატორული პოლიტიკის გამოისობით.

ნიკოფსია გეორგიანული რაობისაა, რაც განაპირობებს კიდეც მის არსობრივ პირველობას ზემოთდასახელებულ ფორმულაში და ხაზს უსვამს საქართველოს ინიციატივას ერთიანი, ძლიერი კავკასიის შექმნაში. ეს ტოპონიმი შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმთავრესი ქართული სახელმწიფოს პერსონიფიცირების გამომხატველია, საიდანაც დაიწყო ქვეყნის კონსოლიდაცია.

დარუბანდი კი იბერიულ-კავკასიურ ოჯახში შემავალ ჩაჩნურ-ვაინახური წარმომავლობის ხალხთა განსახლების არეალს წარმოადგენს ისტორიულად.

ასე რომ, ცალკერძ ნიკოფსიითა და ცალკერძ დარუბანდით ამ ფორმულის ფორმირება მიუთითებს ძირძველ კავკასიელთა გაერთიანების აუცილებლობაზე, რომ ისევ და ისევ დაიბრუნოს კარდუხთა სამკვიდრებელმა კუთვნილი მშვენება - საგულისხმო პარალელებია დავით აღმაშენებლის დროინდელ იდეოლოგიასა და დღევანდელობაში ერთქმნილი კავკასიის პერსპექტივას შორის.

<u>კავკასიურ ენათა ატლასი</u>
<u>(ენობრივი ოჯახები da ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები კავკასიის რეგიონში)</u>

ტერმინი კავკასიური ენები მიუთითებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის მიჯნაზე მდებარე კავკასიის რეგიონის ხალხთა (დაახლ. 7.000.000 ადამიანი) მრავალფეროვან ენათა ჯგუფზე. ლინგვისტური კვლევების კლასიფიკაციით ეს ენები ერთიანდებიან რამდენიმე ენათა ოჯახში, რომელსაც მცირე მსგავსება აქვთ, ან სრულიად არ ემსგავსებიან ერთმანეთს. ზოგიერთ მათგანს კავკასიის რეგიონს გარეთ მონათესავე წევრი არ გააჩნია. ალტერნატიულად ქართველი ლინგვისტი არნოლდ ჩიქობავა ამ ენებს იბერიულ-კავკასიურ ენებში აერთიანებს.

კავკასიური ენები იყოფა ოთხ ენობრივ ოჯახად, მრავალრიცხოვანი სუბ-ოჯახებით. ეს ენებია:

ქართველური ენები
ქართული (საქართველოს ოფიციალური ენა)(4.100.000)
სვანური (43.000)
ზანური ენები
ლაზური (250.000)
მეგრული (5000.000)
აფხაზურ-ადიღეური ენები
აბაზური (24.449)
აფხაზური (79.385)
ადიღეურ-ჩერქეზული ენები
ადიღეური (ჩერქეზული) (96.331)
ყაბარდოული (ჩერქეზული დიალექტის ჩათვლით) (311.078)
უბიხური (მივიწყებულია)
ნახურ-დაღესტნური ენები
ნახური ენები
ბაცბური (3.000)
ვაინახური ენები
ჩეჩნური (604.655)
ინგუშური (153.483)
დაღესტნური ენები
ხუნძურ-ანდიური ენები
ხუნძური (385.043)
ანდიური ენები
ანდიური (9.000)
ბოთლიხური (3.000)
ღოდობერიული (2.500)
კარატაული (5.000)
ახვახური (5.000)
ბაგვალალური (4.000)
ტინდიური (5.000)
ჭამალალური (4.000)
დიდოურ-ჰინუხური ენები
დიდოური (7.000)
ხვარშიული (1.000)
ჰინუხური (200)
ბეჟიტური (2.500)
ჰუნზიბური (600)
ლაკური (82.010)
დარგუული (227.302)
ხინალუღური (1.000)
ლეზგიური ენები
არჩიბული (1.000)
თაბასარანული (54.574)
აღულური (8.782)
რუთულური (11.933)
წახური (10.719)
ბუდუხური (1.000)
უდიური (4.000)
ლეზგიური (304.087)
კრიწული (6.000)

კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების გარშემო არ არსებობს მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ერთგვაროვანი შეხედულება, რადგან ერთი ნაწილი რელიგიურ ფაქტორს წევს წინა პლანზე, ხოლო მეორე ნაწილი - აქცენტს აკეთებს გეოპოლიტიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე.

ერთ ერთი ყველაზე თვალსაჩინო დასავლელი მკვლევარი - სამუელ ჰანგთინგტონი თავის ცნობილ ნაშრომში - ,,ცივილიზაციათა შეჯახება" კავკასიას წარმოადგენს, როგორც ცივილიზაციათა გამყოფ მიჯნას, მათი კონტაქტის ზონას, სადაც ერთმანეთის პირისპირ დგანან მართლმადიდებელი ქრისტიანობა და ისლამი.

შვედი მკვლევარი - სვანტე კორნელი ნაშრომში ,,პატარა ერები და დიდი ინტერესები. კავკასიის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების კვლევა" რელიგიას არ მიიჩნევს შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაციის განმსაზღვრელ ფაქტორად.

გერმანელი მეცნიერი დიტერ სენგაასის შეხედულებით: ,,როგორც წესი რელიგიური ფაქტორი იშვიათად ასრულებს მნიშვნელოვან როლს კონფლიქტის ესკალაციის საწყის ეტაპზე. გაცილებით მნიშვნელოვანია სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები. მაგალითად, უმცირესობები თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლას იწყებენ არა იმიტომ, რომ განსხვავებული აღმსარებლობისა არიან, ან სხვა კულტურის ნაწილს წარმოადგენენ, არამედ იმის გამო, რომ ისინი სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით მარგინალურ მდგომარეობაში იმყოფებიან და აქედან გამოსავალს ვერ ხედავენ".

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, კავკასიის კონფლიქტების უმთავრესი საერთო მახასიათებელი მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მათგანი უკავშირდება ერთის მხრივ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პრინციპებს, ხოლო მეორეს მხრივ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის თავისებურ ინტერპრეტაციას.

კვლევები ადასტურებს, რომ ადამიანებმა დაკარგეს კონფლიქტების გადაწყვეტის იმედი, ამიტომ გამოკითხულთა მხოლოდ 42 პროცენტიღა მიიჩნევს ტერიტორიულ მთლიანობას ნაციონალურ პრიორიტეტად.

მაგალითად, დღეს, ყარაბაღი ისევ ცხელ წერტილად იქცა და შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა არა მაპროვოცირებელი ფაქტორების კვლევების გააქტიურება, არამედ დიალოგის უზრუნველსაყოფად ეფექტური გზების ძიება, იმგვარი მასტიმულირებელი ინსტრუმენტის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს დაპირისპირებული და დაშორიშორებული მხარეების პოზიციათა დაახლოებას თუნდაც პერსპექტივაში.

საზოგადოებრივი მოძრაობის გაშლით კავკასიური წრის შეკვრა მშვიდობისა და განვითარებისათვის უთუოდ უზრუნველყოფს კავკასიის საზოგადოებრივად აქტიური ჯგუფების უშუალო კომუნიკაციას, რაც თავის მხრივ გავლენას იქონებს ადგილობრივ საზოგადოებებზე, სახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე და ხელს შეუწყობს დიალოგს კავკასიის სრულ რეგიონში მშვიდობისა და განვითარებისათვის. ამ გზით სვლისას, მოსალოდნელია კავკასიის რეგიონის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებების გაძლიერება, აქტივობის ამაღლება და პროცესებში მათი უშუალო მონაწილეობის უზრუნველყოფა მშვიდობისა და განვითარებისათვის დიალოგის მხარდასაჭერად.

ჩასატარებელი ღონისძიებების ნუსხაში აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

1. საინფორმაციო-საკონსულტაციო ანალიტიკური რეგიონული ონლაინ-ცენტრების შექმნა;
2. თავდაპირველად კავკასიის რეგიონის საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიკუსიების ორგანიზება;
3. კავკასიის ანსამბლეის, როგორც გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოს ჩატარება-დაფუძნება.

სამიზნე ჯგუფებად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. კავკასიის რეგიონის ქვეყნებში მოქმედი ახალგაზრდული, კვლევითი, მშვიდობისა და განვითარების თემებზე, ქალთა, მოწყვლადი ჯგუფების (დევნილები, შშმპ-ები, ვეტერანები) საკითხებზე მომუშავე, ადგილობრივი სათემო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
2. კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ელიტების წარმომადგენლები;
3. კავკასიის რეგიონის თემატიკაზე და პრობლემებზე მომუშავე ინტერეს-ჯგუფები და პროცესების სხვადასხვა მონაწილე აქტორები.

განსახორციელებელი საქმიანობად შეიძლება მივიჩნიოთ: დისკუსიების ორგანიზება, რეგიონის ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეუზღუდავი კომუნიკაციისა და საერთო გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტების შექმნა-ამოქმედება, დიალოგის მხარდასაჭერად საერთაშორსო ასამბლეის ჩატარება და სხვა.

ყოველივეს წარმატებით განხორციელებისათვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის სტრატეგიები უნდა ითვალისწინებდეს და მოიცავდეს ქვემოთჩამოთვლილი მიმარულელებებით ჩასატარებელ სამუშაოებს, კერძოდ:

- კეთილსაიმედო პირობებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების შეფასებას;
- საორგანიზაციო და ტექნიკური უზრუნველყოფას;
- საინფორმაციო უზრუნველყოფას;
- მომსახურების ორგანიზაციას;
- შედეგების შეფასებასა და ანალიზს.
- პროექტ-გეგმა უნდა მოიცავდეს სამ ეტაპს (I მოსამზადებელი, II ძირითადი
- III დასკვნითი).

I ეტაპზე

- მომზადდება პროექტის საპრეზენტაციო მასალა და ინფორმაცია გავრცელდება სოციალური ქსელებით, ელექტრონული მედიით და სხვა საშუალებებით;
- გაფორმდება შრომითი კონტრაქტები და ხელშეკრულებები მომსახურების შესყიდვებზე;
- შეიქმნება ინტერნეტ სოციალური გვერდები;
- ჩატარდება წინასწარი შეხვედრები საელჩოებთან, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების და მისიების წარმომადგენლობებთან;
- ჩატარდება სხვა ტექნიკური და საორგანიზაციო მოსამზადებელი სამუშაოები;
- შემუშავდება სააპლიკაციო ფორმა ასამბლეაში მონაწილე დელეგატების შერჩევა-რეგისტრაციისათვის.

II ძირითად ეტაპზე

- შეიქმნება ინტერნეტ სოციალური გვერდები;
- შეიქმნება და ინტერნეტ სივრცეში განთავსდება ვებ-პორტალი - კავკასიის სამოქალაქო საზოგადოების საინფორმაციო-საკონსულტაციო ანალიტიკური რეგიონული ონლაინ ცენტრის ფუნქციობისათვის;
- ჩატარდება ონლაინ - დისკუსია კავკასიის ქვეყნების არასამთავრობო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით;
- ჩატარდება ონლაინ-კონფერენცია კავკასიის ქვეყნების ა(ა)იპებ-ისა და აპლიკანტი საზოგადოებრივი ინტერეს-ჯგუფების მონაწილეობით
- მომზადდება შუალედური საინფორმაციო-ანალიტიკური პაკეტი;
- ჩატარდება ასამბლეის მოსამზადებელი ტექნიკური და საორგანიზაციო სამუშაოები (დაცული იქნება სტანდარტული პროცედურები);
- ჩატარდბა სრულიად კავკასიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების პირველი ასამბლეა „მშვიდობისა და განვითარებისათვის“.

- ინფორმაცია ასამბლეის შესახებ

- ასამბლეა ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, რეკომენდებულია რომ ჩატარდეს საქართველოში, ქ. თბილისში;
- ასამბლეა იქნება ორდღიანი;
- პირველ დღეს, გახსნის ცერემონიალის შემდეგ, მონაწილეები იმუშავებენ თემატურ ქვეჯგუფებში (წინასწარი გეგმის მიხედვით იმუშავებს 3 ქვეჯგუფი, თუმცა გეგმა დაზუსტდება პროექტის მიმდინარეობის პერიოდში);
- მეორე დღე დაეთმობა თემატური ქვეჯგუფების სარეკომენდაციო წინადადებების წარმოდგენასა და მსჯელობას;

1. შეფასდება გამოწვევები და არსებული მდგომარეობა. განიხილება პერსპექტივები;

2. შემუშავდება და მიღებულ იქნება ორი მიმართვა, კერძოდ: კავკასიის ქვეყნების მთავრობებისადმი და საერთაშორისო თანამეგობრობისა და მისიებისათვის;

3. მიღებულ იქნება რეზოლუცია შემდგომი წლის ასამბლეის ჩატარების შესახებ რითაც იმავდროულად განისაზღვრება მასპინძელი ქვეყანა (ადგილი), დრო და მონაწილე სუბიექტები.

იმავდროულად ასამბლეაში მონაწილე ორგანიზაციებს შესაძლებლობა ექნებათ აითვისონ საამისოდ გამოყოფილი სივრცე და თავიანთი შეხედულებისამებრ გამოფინონ ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველი ფოტო/ბეჭდური და სხვა საინფორმაციო მასალა, ბენეფიციართა ნამუშევრები, ან ასამბლეის ფორმატისათვის მისაღები ფორმით პოპულარიზაცია გაუწიონ თავიანთი ქვეყნების კულტურას.

- ასამბლეაზე მიღებული მიმართვა წარედგინებათ (გაეგზავნებათ) ქვეყნების მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს

III დასკვნით ეტაპზე

- მომზადდება საბოლოო ნორმატიული და ფინანსური ანგარიში და წარედგინება დონორ ორგანიზაციებს.

გეგმა-პროექტის განხორციელების მთელს პერიოდში რეგულარულად განხორციელდება შიდა კონტროლის პროცედურებიც, კერძოდ:

- ✓ საამისოდ უფლებამოსილ პირთა მიერ თანხლება გაეწევა როგორც მოსამზადებელ ეტაპზე, ისე შემდგომ პერიოდში ჩასატრებელ სამუშაოებს;
- ✓ ყოველი აქტივობის წინ (ონლაინ კონსულტაცია, დიალოგი და სხვა) შეფასდება გარემო და პასუხისმგებელი პერსონალის მზაობა;
- ✓ სამიზნე ჯგუფებისათვის გაწეული მომსახურების პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ჩატარდება პროექტის ბენეფიციართა გამოკითვა სპეციალური „ანკეტა-კითხვარის“ საშუალებით. აუცილებელისა თვითშეფასებაც: თვითშეფასების პროცესი მოიცავს შიდა შეფასებას და გარე შეფასებას.

შიდა თვითშეფასება ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, განახორციელოს შიდა ორგანიზაციული პროცედურები გეგმით განსაზღვრული საქმიანობის, მენეჯმენტისა და პერსონალის ფუნქციური დატვირთვის შესაბამისად ჩატარებული სამუშაოს შეფასების მიზნით.

გარე შეფასება კი ფოკუსირებულია შიდა პროცესების შედეგებზე, კერძოდ კი იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ამ შედეგებს ბენეფიციარები და საზოგადოება.

თვითშეფასების კრიტერიუმებია:

☞ სამიზნე ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობის დონე და ჩართულობა;

- ☞ შედეგების გაზომვის შესაძლებლობა;
- ☞ ჩატარებული საორგანიზაციო სამუშაოებისა და განხორციელებული აქტივობების ფორმის, მოცულობისა და შინაარსის შეფარდება წინასწარგანსაზღვრულ გეგმასთან;
- ☞ პროექტის შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობა. პროექტის არსისა და მიზნების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხი;
- ☞ მონაწილე ორგანიზაციების პროექტის ფარგლებში და შემდგომ პერიოდში შეუფერხებელი კომუნიკაციისათვის ეფექტური ელექტრონული სისტემის ამოქმედება;
- ☞ ქვეყნების პოლიტიკური ელიტების აქტივობის დონე, ჩართულობა და დიალოგში (ასამბლეაში) მონაწილეობის მზაობის ხარისხი;
- ☞ პროექტის გავლენა მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალურ და პარტნიორული ურთიერთობების გაძლერებაზე.
- ☞ პროექტის ზოგადი გავლენა კავკასიაში მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, მშვიდობიან თანაარსებობასა და განვითარებაზე.

წარმატების ინდიკატორები უნდა იყოს:

- ☞ პროექტის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი.
- ☞ პროექტი უნდა წარმოადგენს კავკასიის ქვეყნებში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რეგიონში მშვიდობის, კონფლიქტების რეგულირებისა და უსაფრთხოების პროცესში აქტიური ჩართულობისა და თანამონაწილეობის რეალურ ინსტრუმენტს;

- საზოგადოებრივი სექტორისა და ქვეყნების პოლიტიკური ელიტების პარტნიორული თანამშრომლობისა და დაშორიშორებული მხარეების დიალოგის საუკეთესო შესაძლებლობას;

მიღწეული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- ასამბლეაში კავკასიის ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური ელიტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთაბ მონაწილეობა;
- ინფორმაციის მისაწვდომობა და უკუკავშირის შესაძლებლობა როგორც პროექტის ფარგლებში, ისე შემდგომ პერიოდში;

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს:

1. საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის გაძლიერებას, მათი როლისა და შესაძლებლობების წარმოჩენას;
2. კავკასიის რეგიონის სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენელთა დიალოგსა და უშუალო კომუნიკაციას (მათ შორის დაშორიშორებულ, თუ დაპირისპირებულ მხარეებს შორის);
3. სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის ამაღლებას, სტიმულირებას და ჩართულობას კონფლიქტების მართვისა და სამეზობლო პოლიტიკის წარმოების პროცესში;
4. ასამბლეის სახით ჩამოყალიბდება ის არაფორმალური ორგანო, რომლის შეკრების პერიოდულობა და ფორმატი უზრუნველყოფს კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ელიტებისა და სამოქალაქო აქტიორების ერთობლივად მუშაობას კონფლიქტების პრევენციასა და ტრანსფორმაციისათვის რაც იმავდროულად ჩვენს საერთო პროგრამულ მიზანსაც წარმოადგენს.

პროექტის მდგრადობასა და გრძელვადიან შედეგს განაპირობებს მისი შედეგების გავრცობის შესაძლებლობა.

საინფორმაციო-საკონსულტაციო-ანალიტიკური ონლაინ-ცენტრი პროექტის ფარგლებში და შემდგომ პერიოდში იქცევა თავისუფალ ტრიბუნად, იმ მობილურ, მოქნილ ინსტრუმენტად, რაც ხელს შეუწყობს კავკასიის ქვეყნებში თავისუფალი დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, რაც თავის მხრივ გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს:

- მულტიკულტურული ურთიერთობების გაძლიერებას;
- დემოკრატიული განწყობების გაძლიერებაზე ორიენტირებული სამოქალაქო ინიციატივების სტიმულირებას და განხორციელებას;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციურ გაძლიერებას და სამოქალაქო გავლენას კონფლიქტების მართვის პროცესზე;

ხოლო ასამბლეა, რაც მიიღებს რეგულარულ სახეს და ჩატარდება ყოველწლიურად, გახდება კავკასიური წრის ჯაჭვში აქტიორთა ის შემკვრელი რგოლი, რაც ხელს შეუწყობს სამეზობლო პოლიტიკის გაჯანსაღებას, დიალოგსა და კონფლიქტების ტრანსფორმაციას.

პროექტის განხორციელებისას დაცული იქნება ყოველმხრივი ბალანსი და თანასწორობის პრინციპი, უზრუნველყოფილი იქნება აქტივობებსა და დაგეგმილ ღონისძიებებში კავკასიის რეგიონის ქვეყანებში მოქმედი ყველა თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობა.

პროექტის ერთობლივად განხორციელების შესახებ გაფორმდება თანამშრომლობის სრულიად კავკასიის მემორანდუმი.

პროექტის კოალიციურად განხორციელება კი, ერთის მხრივ, იძლევა ადამიანური, მატერიალური და არამატერიალური რესურსების მობილიზება-გაზრდის შესაძლებლობას, ხოლო მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებასა და შემდგომ პერიოდში პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნებას.

მნიშვნელოვანია, პარტნიორ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უნდა აერთიანებდეს ფუნდამენტური ღირებულებები:

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა; სამართლიანობა და სამშვიდობო პოლიტიკა; სოციალური პარტნიორობა; განათლება; სიღარიბის დაძლევა; ძალადობის პრევენცია და მართვა, ეკოლოგია და მდგრადი განვითარება.

კავკასიის წრის შეკვრა მშვიდობისა და განვითარებისათვის, აქტუალური, პექსპექტიული და აუცილებელია სრულიად კავკასიის ნათელი და მიზნობრივი მომავლისათვის.

„მთავრობის" ახალი ინიციატივა ლოზუნგით: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე . . ."

როგორც „ბოროტი ენები“ ამბობენ: „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს“ სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად მიმართა უზენაესი საბჭოს 171-მა წევრმა . . ."იმასაც ამბობენ, ყოველწლიურად, პარლამენტის ყოფილი წევრების კომპენსაციისათვის 4 მილიონ ლარზე მეტი გაიცემაო.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატების მიერ სახელმწიფოსგან კომპენსაციის მოთხოვნის საკითხს ასე ეხმაურება: არასამთავრობო ორგანიზაციის მონაცემებით, კანონის მიხედვით, პარლამენტის (უზენაესი საბჭოს) წევრის კომპენსაციის ოდენობაა მოქმედი პარლამენტის წევრის ხელფასის მესამედი, რაც შესაბამისად, ყოველთვიურად ხელზე 560 ლარს შეადგენს.

IDFI-ს კვლევიდან ირკვევა, რომ საქართველოს პარლამენტიდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად მიმართა უზენაესი საბჭოს 171-მა წევრმა, 1992-1995 წლების მოწვევის პარლამენტის 138-მა წევრმა, 1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტის 177-მა წევრმა, 1999-2004 წლების მოწვევის პარლამენტის 164-მა წევრმა, 2004-2008 წლების მოწვევის პარლამენტის 139-მა წევრმა და 2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტის 53-მა წევრმა.

1990-2016 წლებში ყოფილ პარლამენტის წევრებზე გაცემული პენსიის ჯამური ოდენობის მოთხოვნის პასუხად, პარლამენტის აპარატმა ინსტიტუტს განუმარტა, რომ პარლამენტის ყოფილი წევრისთვის სახელმწიფო კონპენსაციის დანიშვნას ახორციელებს სსიპ-ი - სოციალური მომსახურების სააგენტო და შესაბამისად აღნიშნული მონაცემები მათ არ გააჩნდათ.

სოციალური მომსახურების სააგენტოს საკუთარ ვებ-გვერდზე საქართველოს პარლამენტის წევრებზე გაცემული პენსიების შესახებ ინფორმაცია პრაქტიკულად განთავსებული აქვს 2008 წლის ივნისიდან დღემდე.

როგორც ირკვევა, 2008 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ყოველთვიური სტიპენდია გაიცემოდა 633 საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრზე, 2009 წლის დეკემბრის მდგომარეობით - 639 წევრზე, 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით - 632 წევრზე, 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით - 641 წევრზე, 2012 წლის დეკემბრის მდგომაროებით - 643 წევრზე, 2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით - 668 წევრზე, 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით - 668 წევრზე, 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით - 665 წევრზე.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემების მიხედვით, 2008 წლის ივნისიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრებზე სახელმწიფო კომპენსაციისთვის საჭირო თანხამ სულ შეადგინა 32 695 081 ლარი.

ყოველწლიურად პარალმენტის ყოფილი წევრების კომპენსაციისათვის განსაზღვრულია დაახლოებით 4 მილიონ-ნახევარი ლარი", - ნათქვამია ინსტიტუტის კვლევაში.

„ბოროტი ენები“ იმასაც ამბობენ - უზენაესი საბჭოს დეპუტატები სადეპუტატო პენსიის 3 000 ლარამდე გაზრდასაც ითხოვენო და ეს შესაბამისი ინიციატივა საკანონმდებლო ორგანოში უკვე შესულიაო.

ეს ადამიანები თვეში 560 ლარის ოდენობის პენსიას ისედაც იღებენ. თუმცა, 3000 ლარამდე ზრდის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ მათ დამოუკიდებლობის აქტს მოაწერეს ხელი!

თუმცა, როდის განიხილავს პარლამენტი და უფრო კონკრეტულად, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი აღნიშნულ ინიციატივას, ჯერჯერობით უცნობია.

ამავე, დროს, „პარლამენტს“ არ აქვს უფლება ინიცირებული კანონპროექტი არ განიხილოს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, რომ პენსიის მომატებას ერთნაირად ითხოვს ის, ვინც დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა და ერთ მხარეს იდგა და ისიც, ვინც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო გადატრიალებაში და კანონიერი ხელისუფლება ჩამოაგდო!

სად არის ამაში ლოგიკა?

სადეპუტატო პენსიის 3 000 ლარამდე ზრდა, „რატომღაც“ მიუღებელია ამჟამინდელი ფაქტობრივი მთავრობის ბევრი წარმომადგენლისა და ექსპერტებისათვის. მართალია, მათი შეფასებით, პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატების წვლილი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში დიდია, მაგრამ ყოველ ეპოქაში ჩვენი სახელმწიფოს წინაშე გამოწვევები დგას და ამა თუ იმ დეპუტატების რანჟირებას, თუ ეპოქების მიხედვით მოვახდენთ, არ იქნება მართალი და ამიტომაც, თუ ზრდაა, მაშინ ეს ყველასთვის უნდა იყოს! არგუმენტაცია კი ასეთია: „ის რომ მათ დამოკიდებლობის გამოცხადების აქტს ხელი მოაწერეს, ამით მათი სახელები უკვე უკვდავყოფილია და ისინი თანამედროვე ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელ მამებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ! ვინც ხელი მოაწერა დამოკიდებლობის გამოცხადების აქტს, უკვე ისტორიული პიროვნებები არიან, მათგან ბევრი ცოცხალი აღარც არის, ვინც ცოცხალია, დღეგრძელობა უნდა ვუსურვოთ და მიუხედავად ამისა, პენსიების ზრდა ყველასთვის ერთნაირად უნდა მოხდეს!” . . .

თანაბრად პენსიის 3 000 ლარამდე ზრდის მომხრეა ე. წ. ეკონომიკის ექსპერტებიც, მათი განცხადებით, უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატების მოთხოვნა კანონიერია. უფრო მეტიც, ვინც მაშინ სახელმწიფო სამსახურში მუშაობდა, ყველას აქვს მსგავსი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სხვა საკითხია აქვს თუ არა ამის რესურსი სახელმწიფო ბიუჯეტს, მითუმეტეს, აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო ორგანოში უკვე შესული და რამდენიმე კომიტეტის მიერ მოწონებულია.

ამავე დროს, არის „ცუდი ბიძიებიც“, რომლებიც აცხადებენ, რომ უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატების მოთხოვნა სასაცილოა და, რომ, ეს ადამიანები, როგორც კომუნისტური რეჟიმის წარმომადგენლები, განსაკუთრებულ პატივისცემას და, შესაბამისად, პენსიების დანიშვნას არ იმსახურებენ!

ჩვენდათავად, კი, უზენაესი საბჭოს დეპუტატებს გვინდა შევახსენოთ თავიანთივე მიღებული კონსტიტუციის 103 მუხლი:

„სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წევრი ვალდებულია თავისი მუშაობისა და შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მუშაობის თაობაზე ანგარიში ჩააბაროს თავის ამომრჩევლებს, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად წარადგინეს.“

ამავე დროს, გვინდა ვკითხოთ მათ, თუ ეს ასეა და ისინი კვლავ თვლიან თავს და რეალურად მაინც რჩებიან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებად და არა ყოფილ დეპუტატებად, რატომ არ იწვევენ უზენაესი საბჭოს სესიას სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის მოთხოვნით?!

დროა იწამლო, ნუ იგესლები! . . .
,,ჩაშვებების" სინდრომი ყოველთვის და ყველგან . . .
ამბავი ბატონი ავთოსი, რომელიც ვერ იქცა ავთანდილად . . .

(ამონარიდები ისტორიიდან)

სინამდვილეში:

- ,,ჯერ კიდევ 1993-1994 წლებში კავშირის სხვადასხვა სტრუქტურულ-იერარქიულ საფეხურებზე მდგომი წევრების მცირე ჯგუფი (1993 წელს - მალულად, ხოლო 1994 წელს კავშირის თავმჯდომარის არყოფნის შემდგომ - ღიად) აქტიურად დაუპირისპირდა ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისა" და 1993 წელს ბატონი ზვიად გამსახურდიას მიერ ხელახლა აღდგენილ პპგ ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" პოლიტიკურ კურსსა და მის ლეგიტიმურ ხელმძღვანელობას." ამისათვის ბატონმა ზვიადმა, სიცოცეცხლშივე, მკაცრი და უკანასკნელი გაფრთხილება მისცა ბატ. ავთოს!

- 1994 წლის 18 დეკემბერს თბილისში ზემოთხსენებულმა მცირე ჯგუფმა კავშირის წესდების ყოველგვარი დარღვევით ჩაატარეს ე. წ. კავშირის III რესპუბლიკური კონფერენცია, რომელზეც შესცვალეს წესდება (რისი უფლება-მოსილიც კავშირის წესდების მიხედვით არის მხოლოდ ყრილობა), გააუქმეს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის პოსტები, გააუქმეს კანონიერი ცენტრალური გამგეობა და აირჩიეს მათთვის სასურველი ხელმძღვანელთა რგოლი (იხ. გაზ. ,,თავისუფალი საქართველო" 1995 წლის 14-20 იანვარი). ერთ-ერთი მოთავე კვლავ ბატ. ავთოა, რომელიც ბატონი ზვიადის გარდაცვალების შემდეგაც ვერ იქცა ავთანდილად!

ფსევდო-კავშირელთა ზემოთხსენებული ჯგუფი 1995 წლიდან კვლავ ახალი ბრალდებებით ცდილობდა თავისი მზაკვრული მიზნების მიღწევას და უკვე თავმჯდომარის მოადგილეზე შეთხზეს ახალი პასკვილი . . . 1997 წლიდან კვლავ ამოქმედდა კავშირის საწინააღმდეგო შიგა თუ გარე ძალები, ასევე კავშირის ყოფილი ზოგიერთი ამბიციური წევრი . . . მათ შორის იყო ბატ. ავთო!

1999 წლის 28 ოქტომბერს(!), ქ. თბილისის ვაკის რაიონულ სასამართლოში არარეგისტრირებულ ორგანიზაციას - ,,საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალ მაგიდას" (ერთ-ერთი წარმომადგენელი - ბატ. ავთო) შეაქვს დამატებითი სარჩელი, სადაც მოითხოვს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას იმ საკითხზე, რომ მოპასუხეს, ამჯერად ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნულ აღორძინებას" აეკრძალოს სახელწოდების გამოყენება და ასევე ითხოვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში კავშირის რეგისტრაციის გაუქმებას. ამ სარჩელზე, 1999 წლის 11 ნოემბერს, მოსარჩელეს ეთქვა უარი (საქმე #2/1207) . . .

სამაგალითო ,,მაგალით-მარგალიტები" კიდევ ბევრია . . .

ამჟამად, ბატ. ავთო და კიდევ ბევრი მისთანანი, სარგებლობენ რა, თავიანთი ნებითვე, ყოფილი უზენაესი დეპუტატის სტატუსით, სიამოვნებით ,,ეფიცხებიან" მავანის მიერ ბოძებულ კომპენსაცია-პენსიებს და ვინ იცის კიდევ რაზე არ ოცნებობენ . . .

ალექსანდრ ჩელუსტინს
უფლისა ალბჭოს ნუ ზიდიოდეს

ვინაიდან ალექსანდრ ჩელუსტინ-
ის მიერ გამოგზავნილ/ბული ვის ნუგეშინ-
ით ჩელუსტინისეულ გოჩვერეულ ბუნებრივია
ვის ჩამოვლენის მოლოდინში.

ჩემ ბესლეს ა. კოკოსოვი 2 იანვ
ბოლოს „ბოგვარ ბეგილ" ოკანოთან
ერთად ა. კოკოსოვი ეს ლიტერატურული ნაჩუქარი
ჩვენი მოძმეობის და მეგობრობის
ნიშნად. ა. კოკოსოვმა გაანადგურა ეს-
ი მოძმეობა, ბევრი ფანატიკური ნაბიჯ-
ი დადგა ჩვენ, ისევ გამოიწვია ჩვენი ეს
მოძმეობის გაფუჭება-ლანძღვა-ნაწყენ-
ობა. ისევ ავი გამოიწვია ბოგვა-
ი ბეგილ ალბეგი ლიმეტნე
ოჩვანიზაციაში ნაწერის ავტორის და
ნ.ძ. ი. ბაბაევის ალბოგლიანობის მიერ
კიდევ ერთხელ მაგინებენ ფაფალ
ალბჭოს ნუ ზიდიოდეს მიერ ლაივმის
ა. კოკოსოვისა მოლაპარაკეს, და ძმა
ნ.ბ. „ბოგვარ ბეგილ" და ძმური ლაფ-
ჩოთი ერთგული ბოგვარ ბეგილ.

ალექსანდრ ჩელუსტინის ფაფალ ალბ-
ჭოს წერილი ავტორისეული

19.VIII.1997 წ.

მარადიულ ნათელში

,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის" ჟურნალ ,,მატიანესთვის" კვლავ გრძელდება მოსაგონარი წერილების გამოქვეყნება ორგანიზაციის აწ გარდაცვლილ წევრებზე, საოცარ, ღირსეულ ადამიანებზე, ისეთებზე, მაცხოვარი რომ ,,მარილს ამა ქვეყნისას" უწოდებდა.

მარადიულ ნათელში ყოფილიყვნენ! ამინ!

მაია მაჭავარიანი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" გამოხატავს ღრმა მწუხარებას, რომ გარდაიცვალა კავშირის საამაყო, გამორჩეული და უძველესი წევრი, უაღრესად სათნო და კეთილი ადამიანი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, ქართული საენათმეცნიერო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგიის დოქტორი, ჩვენი უბადლო მეგობარი და თანამოაზრე - ქალბატონი მაია მაჭავარიანი და ამ უდიდეს ტკივილს თანავუგრძნობთ მის ოჯახს, შვილს - დავით ამირეჯიბს, ახლობლებსა და ნათესავებს!

ქალბატონი მაიას მოღვაწეობა, თითოეული ადამიანის, საზოგადოებისა და მთელი ერისათვის წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს, თუ როგორ უნდა ემსახუროს მამულიშვილი ხალხისა და ქვეყნისათვის საბედისწერო ეპოქაში ღვთის ჭეშმარიტი რწმენის, ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა, თუ ეროვნულ ფასეულობათა გადარჩენის, ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების, შეჭირვებული მოყვასისადმი ქრისტესმიერი სიყვარულისა და თანადგომის საქმეს, რაც ჩვენი ხალხის, სახელმწიფოს ხსნისა და აყვავების უტყუარი საწინდარია. სწორედ ამიტომაც, თანამოაზრეებთან ერთად, იგი ყოველთვის იყო გარემოცული საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით.

ვაჟა მერაბიშვილი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" გამოხატავს ღრმა მწუხარებას, რომ გარდაიცვალა კავშირის გამორჩეული წევრი, ეროვნულ ფასეულობათა კვლევის კომისიის თავმჯდომარე, ჩვენი უბადლო მეგობარი და თანამოაზრე - ბატონ ვაჟა მერაბიშვილი და ამ უდიდეს ტკივილს თანავუგრძნობთ მის ოჯახს, ახლობლებსა და ნათესავებს!

ბატონი ვაჟას მოღვაწეობა, თითოეული ადამიანის, საზოგადოებისა და მთელი ერისათვის წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს, თუ როგორ უნდა ემსახუროს მამულიშვილი ხალხისა და ქვეყნისათვის საბედისწერო ეპოქაში ღვთის ჭეშმარიტი რწმენის, ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა, თუ ეროვნულ ფასეულობათა გადარჩენის, ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების, შეჭირვებული მოყვასისადმი ქრისტესმიერი სიყვარულისა და თანადგომის საქმეს, რაც ჩვენი ხალხის, სახელმწიფოს ხსნისა და აყვავების უტყუარი საწინდარია. სწორედ ამიტომაც, თანამოაზრეებთან ერთად, იგი ყოველთვის იყო გარემოცული საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით.

ვალტერ შურღაია

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" გამოხატავს ღრმა მწუხარებას ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" წევრის, ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლის - ბატონი ვალტერ შურღაიას გარდაცვალების გამო და ამ უდიდეს ტკივილს თანავუგრძნობთ მის ოჯახს, ახლობლებსა და ნათესავებს!

ლალი მაისურაძე

2016 წლის 23 ივლისს ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისა“ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრთა ჯგუფის მიერ მოეწყო ღია, გაფართოებული შეკრება-ღონისძიება რაჭაში!

ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველი ვიცე პრემიერი ბატონი იოსებ ღუდუშაური!

ჯგუფთან მუდმივ საინტერნეტო და სატელეფონო კავშირში იყო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, პრემიერ მინისტრი - ბატონი ბესარიონ გუგუშვილი.

კავშირის პარტიული გაფართოებული სხდომის გარდა ჩატარდა ღია შეხვედრები მოსახლეობასთან და მხარდამჭერებთან. მსოფლიო პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებთან მიმართებასა და მასთან კავშირში მიმოიხილეს როგორც კავშირის, ასევე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შიდა საკითხები, ასევე ქვეყნის წინაშე და კერძოდ, რაჭის რეგიონის შიდა პრობლემატური საკითხები, მოისმინეს მოსახლეობის ინიციატივები და წინადადებები დასმულ საჭირბოროტო პრობლემებთან მიმართებაში.

კავშირის ჯგუფმა მოაწყო რაჭის ღირსშესანიშნავ ადგილთა დათვალიერება, ტყის მთიანი, საბილიკო გზებით, საკმაოდ დიდი მანძილის დაფარვითა და ფეხით ლაშქრობით, რაჭის მაღალმთიანი სოფელ წედისის სასაფლაოზე მოინახულეს და პატივი სცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონი ზვიად გამსახურდიას პირადი მდივნისა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ თვალსაჩინო წევრის, ხუნტის დამქაშთა მიერ ვერაგულად მოკლული ეროვნული გმირის - ქალბატონი ლალი მაისურაძის საოჯახო სასაფლაო და შესაბამისი პატივი სცეს მის ხსოვნას!

რაჭის ულამაზეს, ღვთაებრივ ბუნებაში ჩაკარგული მისი უბრალო საფლავი საქართველოს აუღებელი ციხესიმაგრეა!

ნოდარ იმნაძე

1991 წლის 30 აპრილს აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში მოკლეს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს წევრი, საქართველოს ეროვნული გვარდიის დამფუძნებელი, ბლოკ ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" აჭარის რეგიონული ორგანიზაციის სპიკერი, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი - ნოდარ იმნაძე.

ტრაგიკულად დასრულდა სიცოცხლე ახალგაზრდა კაცისა, ვინც ცხოვრების მიზნად აირჩია ეღვაწა მამულისა და მშობლიური ერის საკეთილდღეოდ და ეს მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი შეუბღალავად ზიდა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. მისთვის ხომ არ არსებოდა უფრო დიდი დანიშნულება, ვიდრე სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლა.

ნოდარ იმნაძე არის საქართველოს ეროვნული გმირი!

ნოდარ იმნაძე იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირი, ის იყო ადამიანი, ვინც საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს ხელი მოაწერა და რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 21 დღეში მოკლეს!

ბატონ ნოდარ იმნაძეს, უფალზე და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ და თავგანწირულ გმირს, ღირსეული ადგილი უნდა მიეცეს საქართველოს ისტორიაში.

უფალმა აცხონოს მისი სული!

ამირან კალაძე

პოეტი, იუჰან სმუულის სახელობის პრემიის ლაურეატი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" წევრი.

ამირან კალაძემ ღირსეულად ატარა პოეტისა და მამულიშვილის უღელი, წარბშეუხრელად, უყოყმანოდ მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოსა და პოეზიის სამსხვერპლოზე. ის მუდამ იქ იდგა, სადაც ეროვნული მოძრაობა დუღდა; ის ერთგულად ედგა გვერდით ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას. ერთხელ არჩეული გზისთვის არ უღალატია.

მისი ფასი მეგობრებმაც იცოდნენ და მტრებმაც, ამიტომ აწამეს განსაკუთრებული სისასტიკით დასავლეთ საქართველოში შეჭრილმა ნარკოტიკებითა და ბოღმით დაბანგულმა „დემოკრატმა" ჯალათებმა ამირან კალაძე, აწამეს საკუთარი დედის, საკუთარის მეუღლისა და შვილების თვალწინ. ალბათ, ეს ერთი ფაქტიც, საკმარისი იქნებოდა იმის დასადგენად, თუ ვინ დაამხო კანონიერი ხელისუფლება და ვინ მოვიდა ხელისუფლების სათავეში.

როცა პოეტს აწამებენ, პოეტს კლავენ, ეს მარტო ჯალათების კი არა, ქვეყნის სირცხვილია და არა მარტო სირცხვილი!...

პოეტი აწამეს სამშობლოს სიყვარულისთვის. ნაწამები პოეტი ერის სიამაყეა.

ამირან კალაძემ ღირსეულად ატარა პოეტისა და მამულიშვილის უღელი, წარბშეუხრელად, უყოყმანოდ მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოსა და პოეზიის სამსხვერპლოზე. ის მუდამ იქ იდგა, სადაც ეროვნული მოძრაობა დუღდა; ის ერთგულად ედგა გვერდით ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას. ერთხელ არჩეული გზისთვის არ უღალატია.

ამირან კალაძე გარდაიცვალა, მაგრამ დარჩა მისი ლამაზი, კაცურად გავლილი გზა, მისი ლექსები, დარჩნენ მისი შვილები, შვილიშვილები, რომლებიც მუდამ იამაყებენ თავიანთი წინაპრით.

ნათელში ამყოფოს ნაღდი ქართველის სული.

რწმენა

კვლავ ენაცვლება წუთისოფელში
თვალსასეირო გულით სატირალს...
რაც შენთვის სასარგებლოა,
მე - რაც მოითხოვს თავის გაწირვას!

არის ცხოვრების უსამართლობა
შენთან მოსული მწარე ფიალით, შენ გწამს,
ის ეკლის გვირგვინს შუბლზე დაიდგამს
და შუბლი ელავს სისხლის სიალით.

ნუ დაუმალავ ხალხს ამ იარას,
დადექ იქ, სადაც შუქი ინთება
ეკლიან შუბლზე უფრო ძლიერი
და მშვენიერი მზე გაბრწყინდება.

ალეკო მელაძე



ალეკო მელაძე, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ქალაქ თბილისის კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

1960 წლის 14 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ნიკიტა ხრუშჩოვზე ტერაქტის მზადების ბრალდებით სამი პირი დააკავა. შოთა, იგივე ოთარ მექვაბიშვილი, ალბერტ (ალეკო) მელაძე და აბრამ (აბრეკ) ბათოშვილი. მოგვიანებით ამავე ჯგუფის კიდევ ერთ წევრს -- სტუდენტ აკაკი მდინარაძეს მიაგნეს და ისიც დააპატიმრეს.

ხრუშჩოვი თბილისში 1961 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით უნდა ჩამოსულიყო. გეგმის თანახმად თავდასხმა ხრუშჩოვის თბილისის ქუჩებში გადაადგილებისას უნდა მომხდარიყო. ჯგუფების წევრებიდან ერთ-ერთს, ჰაერში ტყვიის გასროლით, სამთავრობო დაცვის ყურადღება უნდა გადაეტანა; მეორეს ამ დროს, სხვა მხრიდან, ხრუშჩოვის მანქანისკენ დანაღმული დოქი უნდა ესროლა. ხრუშჩოვის ლიკვიდაციის შემთხვევაში ჯგუფის წევრები რადიოთი უნდა გამოსულიყვნენ გასულიყვნენ და მომხდარის შესახებ ეცნობებინათ. სასამართლომ ოთარ მექვაბიშვილს, როგორც ტერორისტული დაჯგუფების ორგანიზატორს, სასჯელის უმაღლესი ზომა -- დახვრეტა, ალეკო მელაძეს -- 15 წლით, ხოლო აბრეკ ბათოშვილსა და აკაკი მდინარაძეს -- 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თბილისში სტუმრობისას ხრუშცოვს ქუჩაში დახვდა მექვაბიშვილის დედა და შვილის შეწყალება სთხოვა. ამ ამბიდან ცოტა ხანში, მექვაბიშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა 15-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს. სასჯელი შეუმსუბუქეს დაჯგუფების სხვა წევრებსაც. ხელისუფლებიდან ხრუშჩოვის წასვლიდან მცირე ხნის შემდეგ კი ისინი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩევნებში ალეკო მელაძე არჩეული იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრად. მისი ხელმოწერა ამშვენებს საქართველოს 1991 დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

უფალმა აცხონოს ბატონი ალეკოს სული!

გია ტეტელაშვილი

გია ტეტელაშვილი (- 1991) - სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართალის საზოგადოების წევრი.

1991 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს რუსთაველის გამზირის მხრიდან თავს დაესხა შეიარაღებული ოპოზიცია, რომელმაც ტყვიამფრქვევით უზენაესი საბჭოს წინ მდგარი 4 მშვიდობიანი მოქალაქე მძიმედ დაჭრა. დაჭრილთაგან ერთი, გია ტეტელაშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

ნუგზარ შანავა

სამხედრო პირი, ოფიცერი, სამაჩაბლოში ოსი სეპარატისტების 30-ზე მეტ ტყვიას გადარჩენილი ნუგზარ შანავა, 1991 წლის დეკემბერში, ეროვნულ ხელისუფლებაზე შეიარაღებული შეტევის დაწყებამდე, შავნაბადაზე დაბანაკებულ თავდაცვის განდგომილ მინისტრ თენგიზ კიტოვანთან და ეროვნული გვარდიის იმ ნაწილთან, რომელიც კონსტიტუციურ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა, გია ესებუასთან (პუტჩისტების მიერ უზენაესი საბჭოს მიმდებარე ტერიტორიაზე 1991 წლის 23 დეკემბერს მოკლული) ერთად მოსალაპარაკებლად მივიდა. შესასვლელში იარაღი მიწაზე დადო და ხელები ასწია ნიშნად იმისა, რომ ქართველს ტყვიას არ ესროდა და დალაპარაკება ითხოვა. სწორედ ამ დროს, განდგომილთა მხრიდან ტყვია გავარდა და ნუგზარ შანავას, კაცს, რომელსაც თანამოძმეთა სისხლის დაღვრა არ სურდა, სიცოცხლე მოუსწრაფა.

ციცინო ქევხიშვილი

ციცინო ქევხიშვილი (1946-1991) - წმინდა ილია მართალის საზოგადოების წევრი.

მოკლულია 1991 წლის 22 დეკემბერს დილით, პუტჩისტების მიერ, უზენაესი საბჭოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

არჩილ რამიშვილი

არჩილ რამიშვილი (1946-1991) - სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართალის საზოგადოების გამგეობის წევრი.

1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ატაში დაფუძნდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი (მოდერნიზებული სსრ კავშირი), აზერბაიჯანის, სასომხეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, მოლდავეთის, უკრაინის რესპუბლიკებისა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობით. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ და მისმა ეროვნულმა ხელისუფლებამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში საქართველოს გაწევრიანებაზე უარი განაცხადეს და ალმა-ატის შეხვედრაზე მხოლოდ დამკვირვებლი წარგზავნეს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის მიერ, 1991 წლის 21 დეკემბერს, ეროვნულ ხელისუფლებას დსთ-ს ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად 22 დეკემბრის დილის 8 საათამდე მიეცა ვადა, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტს ხელისუფლების დამხობით დაემუქრა. ვადის ამოწურვისთანავე, 22 დეკემბერს, უთენია, რუსეთის სპეციალურმა სამხედრო შენაერთებმა და ქართველმა პუტჩისტებმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ალყაში მოაქციეს და ზუსტად 08:00 საათზე ეროვნულ ხელისუფლებაზე შეიარაღებული შტურმი დაიწყეს; უზენაესი საბჭოს მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ მშვიდობიან მოქალაქეთაგან დაჭრეს რამდენიმე. არჩილ რამიშვილმა ერთ-ერთი დაჭრილის დახმარება და მთავრობის სახლში შეყვანა სცადა. სწორედ ამ დროს, უზენაესი საბჭოს სვეტებთან პუტჩისტებმა ის მოკლეს.

არკადი მარკოზია

არკადი მარკოზია (1930-1991) - დისიდენტი, ყოფილი პოლიტიკური პატიმარი, წმინდა ილია მართალის საზოგადოების გაგრის ფილიალის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ქართველთა ქომაგად წოდებული.

1991 წლის 22 დეკემბერს დილით, მაშინ, როცა ეროვნულ ხელისუფლებაზე შეიარაღებული შეტევა დაიწყო, იგი თავისუფლების მოედნის მხარეს მდგარმა პუტჩისტთა პიკეტმა მანქანაში, რომელიც მას როგორც დეპუტატს ემსახურებოდა, გამიზნულად ჩაცხრილა. არკადი მარკოზია უზენაესი საბჭოს შენობაში უნდა შესულიყო.

ზაზა სიხარულიძე

გარდაიცვალა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოძრაობის ფუძემდებელი საქართველოში, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) დამაარსებელი და ლიდერი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების კონგრესის აღმასრულებელი მდივანი, არაერთი სახელმწიფო და სამთავრობო კომისიისა და საბჭოს წევრი, სოციალური სამართლიანობისა და სოლიდარობის დამკვიდრებისათვის მიმართული საყოველთაო-სახალხო მოძრაობის ფუძემდებელი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს 1992-95 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი.საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ,,ფაზისის" მეცნიერებათა აკადემიისა და ეროვნული ინსტიტუტის ნამდვილი წევრი, თბილისის ბიზნესისა და სამართლის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესიით - ფილოლოგ-აღმოსავლეთმცოდნე და იურისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მისი მოღვაწეობა, თითოეული ადამიანის, საზოგადოებისა და მთელი ერისათვის წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს, თუ როგორ უნდა ემსახუროს მამულიშვილი ხალხისა და ქვეყნისათვის საბედისწერო ეპოქაში ღვთის ჭეშმარიტი რწმენისა და ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების, შეჭირვებული მოყვასისადმი ქრისტესმიერი სიყვარულისა და თანადგომის საქმეს, რაც ჩვენი ხალხის, სახელმწიფოს ხსნისა და აყვავების უტყუარი საწინდარია. სწორედ ამიტომაც, თანამებრძოლებთან ერთად, იგი ყოველთვის იყო გარემოცული საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით.

მარტოობიდან მარტოობაში

ერთხელაც სახლში ვერ დავბრუნდები,
დამრჩები როგორც უმწეო ბავშვი,
უხილავ ფრთებით გადავფრინდები
მარტოობიდან მარტოობაში.

მკითხველის წერილი

25 წელია ,,უდაბნოში" ვართ! კიდევ როდემდის?!

ისე სწრაფად ვკითხულობდი ახალ ნომერს, ვგრძნობდი თითქოს მეც დაღმართით ვეშვებოდი აჩქარებით . . . შევჩერდი, თუ შემეჩერა მონათხრობმა არ ვიცი . . . ჩაგეჭიდე, შემეშინდა! . . .

მეც ხომ ყვავებში ვცხოვრობ, გამახსენდა . . . ზუსტად ვიცი დილით რა დროს იღვიძებენ და გაბმულად ბღავიან . . .

ჩემი ეზო, ჩემი სახლი და ჩემი ყვავები გამახსენდა.

უცებ ხელი გამეშვა და კვლავ თავბრუხვევით დავუყევი ნაწერს . . .

ვერც ძალაუფლების მქონე ე. წ. მთავრობამ შემაჩერა და ვერც მისმა ქებულმა ლარმა, ასე რომ ამაყობდა, ჩემზე უკეთესი ფასი არავის არა აქვსო . . .

წამში, აზრობრივად, ჭვავის ყანაც ჩავირბინე და ყვავისაც . . .

ზარმა დარეკა . . .

დეპოში ვარ უკვე კარგა ხანია . . .

აი, შენც, მეც და ტრიფონიც უკვე გავჩერდით, სხვა გზა არცაა, ყრუ კედელი . . .

WALL! . . .

ვინ დაანგრევს ამ კედელს? მე, შენ, თუ ტრიფონი? . . .

ვინ დაიჭერს შემდეგ დაგორებულებს, ვინ გვიხსნის ჭყლეტისაგან? . . .

ვატყობ შენც გაბრაზდი, მეც და ისიც, ეს უკვე კარგია . . .

ორი გზა მაქვს: ან უნდა გავყიდო რაც მაბადია და სხვაგან, ჭიუხვებში გადავიკარგო, ან გვერდში უნდა დაგიდგე, რათა ერთად მოვაგროვოთ დაღმართზე დაგორებულების ძალა და ერთად გავანგრიოთ კედელი . . .

მე შენთანა ვარ! (იმედის ნაპერწკალივით პაწაწინა, დაღვრემილი სმაილიკი) . . .

მადლობა უფალო გადარჩენისთვის . . .

,,კაცი ის არის, ვინც მისდევს
დიდის მოძღვრისა მცნებასა,
ვინც მოძმეს გულსა გაუხსნის,
თავს აუცილებს ნებასა,
ქვრივ-ობლებს ცრემლებს მოსწმენდავს,
მოუსპობს გაჭირვებასა,
იბრძვის და იბრძვის ერისთვის,
ქვეყანას მისცემს შვებასა!
კაცი ის არის, ვინც მამულს
გამოადგება შვილადა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,
თავი - სამსხვერპლო წილადა,
ქვეყნისა ცრემლი ჭირად უჩნს,
მისი ღიმილი - ლხინადა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,
მას შამოავლებს ფთილადა!
კაცი ის არის, ვინც მამულს
ეტრფის და ეთაყვანება,
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო,
ვერც მისი მკაცრი ბრძანება,
ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის
ლომ-გული მოეფხანება,
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს,
მოწამეს დაეგვანება!“

(რაფიელ ერისთავი, 1886 წელი)

ვაჟა-ფშაველა – სად არის ქრისტე, ან მისი სწავლა?

რა ყოფაში ვარ? რა მემართება?
ლამის გავგიჟდე, გავმხეცდე მთლადა.
ადამიანის ხორცსა ვჭამ პურად,
ადამიანის სისხლსა ვსვამ წყლადა,
მილიონობით დღეში არ მყოფნის,
ადამიანის მე მქვიან მადა.
რო მეჯავრება ჩემივე თავი,
ვერ გარდავიქმენ მაინც კი სხვადა.
როგორ მოტყუვდა ნაზარეველი,
ძმობა-ერთობის გეგმას რომ სთხზავდა!
შესაძლოდ სცნობდა საყოველთაოდ
ასეთ სიყვარულს, რადგან თვით სწამდა
ქრისტეობა და მის სწავლის ცოდნა.
როგორ ვსტყუვდებით, საიდან-სადა?
შორსა ყოფილა ერთმანერთზედა,
ძალიან გვიან გამოგვეცხადა.
ამ მოძღვრებისთვის ჯვარზე გაეკრა:
თავის სწავლასა დიდ ხედა ჰრგავდა,
როგორ ეწვალა, როგორ ეცადა,
რომ არ ჰყოლიყო კაცი კაცს მგლადა.
მიჩვენეთ ერთი ამის ნაყოფი
იგემეთ ვინა, როდის ან სადა?
როდი-ღა უნდა ადამიანმა
ადამიანი იწამოს ძმადა?!

ასე იწყება სამშობლო . . . ზვიადი და მერაბი

,,ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!
რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!"

მერაბი ზვიადზე

„პირველობა ეკუთვნის ზვიადს”

„ბევრი ეცადა ჩემი და ზვიადის მეგობრობაში ბზარის გაჩენას, მაგრამ ეს ვერავინ ვერ შესძლო, ეს არასოდეს არ მოხდება, მაგრამ თუ მოხდა სასწაული და ჩვენს მეგობრობაში ბზარი გაჩნდა, მაშინ მე ვიტყვი, რომ მეგობრობა საერთოდ არ არსებობს. ეს კი ქვეყნის დანგრევას უდრის”.

,,მე, როგორც მერაბის დედა, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ზვიადის და მერაბის მეგობრობა იყო ყოველთვის ქრისტესმიერი, ჭეშმარიტი და შეუბღალავი და ძალიან განვიცდი, როდესაც ჩირქს სცხებენ მათ მეგობრობას“.

ქალბატონი ოლღა დემურია-კოსტავა

რას ნიშნავს დასავლური ორიენტაცია?!

ზვიად გამსახურდია



„ახლა კარგად გავერკვეთ, თუ რას ნიშნავს დასავლური ორიენტაცია. ზოგიერთს ეს ჰგონია დასავლეთის პორნოგრაფიული და სადისტური ფილმების კულტი, განგსტერების „ჰეროიკა", მოდების წამხედურობა, ხელგაშლილი დგომა კრედიტების მოლოდინში, საეჭვო გარიგებები პოლიტიკურ ავანტურისტებთან და მათთან კავშირში ეროვნული სიმდიდრის განიავება.

ასეთ დასავლურ ორიენტაციას ვგმობთ ჩვენ.

ამასთან, დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნააზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებლივი სისტემები უაღრესად ახლოა ჩვენთვის, რომ, ჩვენი თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება, დასავლური, ღია დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია და არა სხვა რამ".

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნოდარ კიკნაძე (595353505), ნუკრი ბაღდავაძე, რატი გაგოშიძე,
თორნიკე ამაშუკელი, დავით კაპანაძე, მირიან მაღრაძე, მალხაზ მუსერიძე